


## ინფორმაციული საზოგადოება როგორც პოსტინდუსტრიალიზმი

1. ნეოევოლუციონიზმი და ცალკეული სფეროები
2. პოსტინდუსტრიული საზოგადოება
3. ინფორმაციის როლი
4. ინტელექტუალური კონსერვატიზმი
5. მომსახურების პოსტინდუსტრიული საზოგადოება?
6. მომსახურება და წარმოება
7. თეორიული ცოდნა დასკვნა.



საკვანძო სიტყვები და გამოთქმები: თეორიული ცოდნა და ინფორმაცია, პოსტინდუსტრიალიზმი. ნეოევოლუციონიზმი, სოციალური სტრუქტურა, პოლიტიკა და კულტურა. “მე კონსერვატორი ვარ კულტურაში, სოციალისტი ეკონომიკაში, ლიბერალი პოლიტიკაში,” “მომსახურების საზოგადოება”, ინფორმაციული დასაქმება, მომსახურების სექტორი, “კარდინალურად ახალი ახლა - ესაა თეორიული ცოდნის კოდიფიცირება და მისი როლი ინოვაციებში, როგორც ახალი ცოდნის შექმნის სფეროში, ისე პროდუქტების და სერვისების წარმოების სფეროში”, “ინტელექტუალური ტექნოლოგია”, “თეთრ საყელოიანები”, “პოსტტრადიციული” საზოგადოება, “ინტენსიფიცირებული რეფლექტურობის სამყარო - ეს გონიერი ხალხის სამყაროა”

დენიელ ბელი პოსტინდუსტრიული თეორიის ერთ-ერთი ცნობილი ავტორია, რომელიც ინფორმაციული საზოგადოების დახასიათებას გვთავაზობს. ეს ტერმინები პრაქტიკაში სინონიმური მნიშვნელობით გამოიყენება: ინფორმაციული საუკუნე გამოხატავს პოსტინდუსტრიულ საზოგადოებას, პოსტინდუსტრიალიზმი კი ხშირად განხილულია როგორც ინფორმაციული საზოგადოება. ტერმინი “პოსტინდუსტრიალიზმი” ბელმა შემოიტანა 1950-იანი წლების ბოლოს, რაც უკავშირდება ფუტუროლოგიის მიმართ ინტერესის გაღრმავებას და აგრეთვე, ინტერესს, რომელიც ჩნდება კომპიუტერული და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების მიმართ.

დენიელ ბელი თავის ნაშრომში განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს ცოდნასა და ინფორმაციას. თავის წიგნში (The Coming of Postindustrial Society) საზოგადოების სოციოლოგიური პორტრეტი ჩნდება 1973 წელს, თუმცა მისი იდეა გამოქვეყნდა უფრო ადრეც. ის შეესაბამებოდა ტექნოლოგიურ ცვლილებებს, რაც წარმოიშვა სხვადასხვა ქვეყნებში 1970-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში. უცხად ვრცელდება მიკროელექტრონული ტექნოლოგიები- ოფისებში, სამრეწველო საწარმოებში, საცხოვრებელ სახლებში, კომპიუტერი აღწევს ყველგან და ეს ყველაფერი მიჩნეულია როგორც გამოძახილი დაჟინებული სურვილისა გაგების, ცოდნის შესახებ, რისკენაც მიდის ეს ცვლილებები.

მიაჩნიათ, რომ ბელის თეორია სუსტია, ნაშრომი პოსტინდუსტრიული ინფორმაციული საზოგადოების ემპირიულად გაუმართლებელია, წინააღმდეგობრივ საფუძველზეა აგებული,

თუმცა მას ემაღლიერებინ იმისათვის, რომ დააყენა საკითხი საზოგადოების ტიპის შესახებ, რომელშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინფორმაცია. დენიელ ბელის ნაშრომს ამ მიზეზების გამო უწოდეს „კარგი ცუდი წიგნი“, რომელიც საბოლოო ჯამში მაინც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

ბელი თვლის, რომ შევდივართ ახალ სისტემაში, პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში, რომლის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ინფორმაციის მნიშვნელობისა და ხარისხის ზრდაა. ბელი მიიჩნევს, რომ ხარისხიანი ინფორმაცია პოსტინდუსტრიული ინფორმაციული საზოგადოების გასაღებია. ერთის მხრივ, პოსტინდუსტრიალიზმი ახდენს ინფორმაციის ზრდას, რომელიც გამოიყენება და მეორეს მხრივ, პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში განსაკუთრებით აშკარაა თეორიული ცოდნის როლისა და მნიშვნელობის ზრდა. სხვანაირად რომ ვთქვათ, პოსტინდუსტრიული ინფორმაციული საზოგადოება არის არამხოლოდ დიდი ინფორმაცია, აქ თამაშში შედის მეორე ტიპის ინფორმაცია- ცოდნა.

ბელი უდაოდ მართალია, როდესაც აღნიშნავს, რომ ინფორმაციის როლი საზოგადოებაში, პოლიტიკისა და ეკონომიკის სფეროში, მკვეთრად იზრდება, მაგრამ ბელი შეცდა, როცა მიიჩნია, რომ ეს ამტკიცებდა „პოსტინდუსტრიული ერის“ წარმოშობას. პოსტინდუსტრიული ინფორმაციული საზოგადოების შესახებ თეორია სუსტია, თუ შევხედავთ მას რეალური სოციალური ტენდენციების ფონზე და თუ შევადარებთ „ანალიტიკურ კონცეპტს“, რეალურ სამყაროს, აღმოჩნდება, რომ პირველი მეორის მიმართ გამოუყენებელია. საბოლოო ჯამში, ეს პროექტი სუსტია ემპირიული, თეორიული და მეთოდოლოგიური თვალსაზრისით.

## ნეოეკოლუციონიზმი

დენიელ ბელი თვლის, რომ აშშ შედის ახალი ტიპის სოციალური სისტემის სამყაროში- პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში. არაა დამტკიცებული, რომ პოსტინდუსტრიული ინფორმაციული საზოგადოების განვითარება ისტორიის აუცილებელი მსვლელობაა, თვლიან, რომ შესაძლებელია კვალდაკვალ მიყოლა იმ მოძრაობის, რომელიც ემყარება განუსაზღვრელ ქრონოლოგიას. ამდენად, არ ყოფილა რთული ბელისთვის ტერმინოლოგიის შერჩევა ისტორიული პერიოდებისთვის. მაგ.: მე-18 საუკუნის დასაწყისში ინგლისი იყო ინდუსტრიაში დელი ქვეყანა, ე.ი. სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მე-19 საუკუნის ბოლოს ინდუსტრიული, ე.ი. ადგილი აქვს მანუფაქტურულ წარმოებას, მესამე ათასწლეულის დასაწყისში კი შესამჩნევია პოსტინდუსტრიალიზმის ნიშნები, ე.ი. ჭარბობს მომსახურების სექტორი. ბელის მიერ დაგეგმილი მარშრუტით ისტორიას მოაქვს მთლიანად პოსტინდუსტრიული ინფორმაციული საზოგადოების განვითარება. ბელი დარწმუნებული იყო ამ მარშრუტში და 1970-იან წლებში თვლიდა, რომ „პოსტინდუსტრიალიზმი ხდება გარკვეული საზღვარი 21-ე საუკუნეში, როგორც საზოგადოებრივი სტრუქტურა აშშ-ში, იაპონიაში, საბჭოთა კავშირში და დასავლეთ ევროპაში.

თუმცა სოციოლოგები არ აღიარებენ ევოლუციონისტურ თეორიებს, მაგრამ ამ თეორიებს გააჩნიათ ჩვეულება, რომ წარმოიქმნან ისევ და ისევ. თვლიან, რომ ევოლუციონიზმი ინტელექტუალური თვალსაზრისით სუსტია. I

ისტორია მოიცავს განსხვავებულ ტენდენციებს განვითარების მხრივ, როგორც ვითარდებიან დასავლეთ ევროპა, იაპონია და განსაკუთრებით შეერთებული შტატები. გამოდის, რომ ადამიანებმა არაფერი არ უნდა გააკეთონ და არ უნდა შემფოთდნენ საკუთარ ქვეყანაში არსებული ისეთი პრობლემების მიმართ, როგორცაა უსამართლობა, უთანასწორობა,

სისასტიკე ადამიანთა ყოფიერებაში, რადგან ისტორიული ლოგიკა დაუნდობელია და სისტემის შემადგენელი ნაწილების სახით იზიდავს და ავითარებს მათ. დენიელ ბელს ევოლუციონისტად და მსგავსი მოსაზრებების გამო სოციალური მეცნიერების ნაკლის დამცველად თვლიდნენ. რასაც თვითონ ბელი უარყოფდა, მაგრამ მაინც რთულია გაექცე დასკვნას, რომ თანამედროვე საზოგადოება ჩართულია პოსტინდუსტრიალიზმში, როგორც ღრმა სოციალურ ტენდენციაში.

## ცალკეული სფეროები

ამ თავში განიხილება ის თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომები, რომლებიც ფუნდამენტურია დენიელ ბელის ნაშრომში. პოსტინდუსტრიული ინფორმაციული საზოგადოება წარმოიქმნა არა იმდენად პოლიტიკურ და კულტურულ ცვლილებებში, არამედ სოციალურ სტრუქტურაში. ბელი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ არ შეიძლება ცვლილებები განვიხილოთ ისე, რომ თითქოს ისინი გამომდინარეობდნენ ერთი სფეროდან, ცვლილებები გავლენას ახდენენ საზოგადოების ყველა დანარჩენ პარამეტრზე. ის თვლის, რომ საზოგადოებები „რადიკალურად განცალკევებულია“, ე.ი. არსებობს დამოუკიდებელი „სფეროები“- სოციალური სტრუქტურა, პოლიტიკა და კულტურა, რომლებიც არსებობენ ავტონომიურად, ასე რომ ერთ სფეროში არსებული შემთხვევები არაა სავალდებულო იწვევდეს განსხვავებულ, სხვადასხვა შედეგებს. მაგ.: თუ იცვლება რაიმე ეკონომიკაში, ამით შესაძლოა პოლიტიკური სიტუაციები დადგეს რაიმე სირთულის წინაშე, მაგრამ ბელი ამტკიცებს, რომ ეს არ იწვევს ავტომატურ, თავისთავად ცვლილებებს, სოციალური სტრუქტურის სფერო (საითაც მიდის ეკონომიკა) ეს სხვა საქმეა და პოლიტიკა სხვა.

სხვანაირად რომ ვთქვათ, ბელი ანტიჰოლისტია, ის კვლავ და კვლავ იმეორებს, რომ საზოგადოება არ არის „იმდენად ორგანული ან ინტეგრირებული, რომ შესაძლებელი იყოს მისი გაანალიზება, როგორც ერთიანი სისტემის“. ის გადაწყვეტით უარყოფს ყველა ტოტალურ, ჰოლისტურ თეორიას საზოგადოების შესახებ, რომლებიც ამტკიცებენ, რომ კაპიტალიზმი ყველა საზოგადოების ცხოვრებაშია და მოწყვეტილი არიან კონსერვატიულ პოზიციას, საზოგადოების ფუნქციად თვლიან ინტეგრირებას, რაც ხელს უწყობს წესრიგსა და წონასწორობას.

ამის საპირისპიროდ, ბელი თანამედროვე საზოგადოებას სამი სფეროს მიმართ განიხილავს- სოციალური სტრუქტურა, პოლიტიკა და კულტურა. საკითხის ასე დაყენების წინაშე ისმება კითხვა, რატომ ხდება საზოგადოების განაწილება მხოლოდ სამ სფეროზე? ამის მიზეზია ის, რომ დასმული საკითხი ბელის თეორიის მთავარი, ძირითადი ქვაკუთხედაა.

პირველ რიგში, ამით გამოთქვამს საწინააღმდეგო აზრს. მრავალგზის გამეორებულია ბელის განცხადება – “მე კონსერვატორი ვარ კულტურაში, სოციალისტი ეკონომიკაში, ლიბერალი პოლიტიკაში,” ეს ემყარება მის რწმენას, რომ არსებობს სამი განცალკევებული დარგი, რომლებშიც ადამიანს გააჩნია განსხვავებული შეხედულებები.

ასევე, ასეთი რადიკალური განცალკევება სხვადასხვა სფეროებში, საშუალებას აძლევს ბელს თავი აარიდოს უხერხულ კითხვებს, იმაზე თუ რა დონის ცვლილებაა ერთ სფეროში მეორე სფეროზე გავლენის აღმოჩენის შემთხვევაში, მაგრამ ბელი ამტკიცებს, რომ მას აინტერესებს ცალკეული სფეროები და რომ ცალკე მყოფი სამი სფერო დამოუკიდებელია ერთმანეთისგან, ამდენად, ბელი არ პასუხობს კითხვებს სფეროების ურთიერთობისა და კავშირის შესახებ და კვლავ უბრუნდება საკუთარი თეორიის ამოსავალ საკითხებს.

ბელი არ იძლევა საბუთსა და მტკიცებას საკუთარი პოზიციის განსამტკიცებლად. ბელი ამტკიცებს, რომ სტრუქტურებმა მე-19 საუკუნეში აითვისეს პროტესტანტიზმის თვისებები-გონივრულობა, სიფხიზლე, თავდაჭერილობა, შრომისმოყვარეობა, რაც შეესაბამებოდა სოციოეკონომიკური განვითარების მოთხოვნებს.

გარდა ამისა, ბელი ყურადღებას უთმობს სპეციალისტებისა და პროფესიონალების რიცხვის ზრდას, რაც იწვევს მნიშვნელოვან შედეგებს პოლიტიკაში.

პიტერ სტეინფელსი წერს, რომ ბელის თეორიაში ეს სამი სფერო ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, მაგრამ ბელს პირველ რიგში აინტერესებს მათი ურთიერთობა. ბელი უფრო ქმნის თეორიას სხვადასხვა სფეროებს შორის ურთიერთობის შესახებ, ვიდრე დიფერენციაციის შესახებ და წინააღმდეგობაში მოდის, როცა საზოგადოებას განიხილავს როგორც ერთიან მთელს.

## პოსტინდუსტრიული საზოგადოება

ბელის თეორიის ამოსავალია, რომ სოციალური სტრუქტურა რადიკალურად განცალკევებულია პოლიტიკისგან. მთავარია, რომ პოსტინდუსტრიული ინფორმაციული საზოგადოება წარმოიქმნა მხოლოდ სოციალურ სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებების გამო, რომელიც ჩართულია ეკონომიკაში, სტრატეგიკაციის სისტემაში, მაგრამ არაა კავშირში პოლიტიკასა და კულტურასთან. ბელი შრომით საქმიანობას განსაზღვრავს საზოგადოებებში და მიიჩნევს, რომ ინდუსტრიამდელ საზოგადოებაში ჭარბობდა სასოფლო – სამეურნეო საქმიანობა, ინდუსტრიულში გავრცელებული იყო მანუფაქტურული შრომა და პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში მთავარ როლს თამაშობს მომსახურების სფერო. ინდუსტრიულ საზოგადოებაში იზრდება წარმოება, საწარმოო ტექნიკა, ინდუსტრიალიზაცია შეიძლება დახასიათდეს, როგორც მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მუდმივი განვითარების პროცესი. აქიდან ჩნდება რკინის ლოგიკა- დიდი რაოდენობის პროდუქცია წარმოებულია მცირე რაოდენობის მუშების მიერ. წარმოების ზრდა, სამრეწველო ნამატი საზოგადოებას აძლევს წარმოუდგენელი ფუფუნების საშუალებას. ინდუსტრიული კეთილდღეობის მიღწევები ქმნის მომსახურების სფეროს, პროფესიებს, მიზნად ისახავენ წარმოქმნილი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ამ პროცესის განვითარების შემთხვევაში ჩვენ დავრწმუნდებით შემდეგში:

1. მუშების რიცხვი, დაკავებულობა მრეწველობაში, იკლებს ასეთი დონე და სულ უფრო ცოტა ერთვება ამ სფეროში;
2. ხდება უზრუნველყოფა წარმოების რაციონალიზაციის;
3. წარმოების ზრდა მრეწველობაში ზრდის სიმდიდრეს, რის საფუძველზეც ჩნდება ახალი მოთხოვნები და მათი დაკმაყოფილების საჭიროება;
4. მიდის მუდმივი პროცესი ხალხის მრეწველობაში ჩაბმულობის;
5. დაუსრულებლად იქმნება ახალი სამუშაო ადგილები მომსახურების სფეროში, მიზნად დასახულია ახალი მოთხოვნებისა და საჭიროებების დაკმაყოფილება, რომელიც იზრდება სიმდიდრის ზრდასთან კავშირში.

ბელი ეყრდნობა ემპირიულ მონაცემებს სოციალურ მეცნიერებაში. არ შეიძლება უარვყოთ, რომ ხდება სასოფლო-სამეურნეო და მანუფაქტურული წარმოების შეცვლა ეკონომიკაში, მაგრამ მათი გაწონასწორება ხდება ისეთ სექტორში, როგორცაა მომსახურების სექტორი.

ბელისთვის “მომსახურების საზოგადოება” წარმოადგენს პოსტინდუსტრიულ საზოგადოებას. თუ განვიხილავთ, “ბევრი მცირე რიცხვისგან” პრინციპი მოითხოვს სასოფლო – სამეურნეო საქმიანობისგან, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მრეწველობისგან გათავისუფლდეს მუშა ხელები და ამავე დროს, მუშა ხელები ახდენს საზოგადოების სიმდიდრის უზრუნველყოფას. ასეთი მოსაზრებით ბელი წარმოადგენს ფაქტორებს, რომლებიც იწვევს ინდუსტრიული საზოგადოების დასასრულს. ავტომატიზაცია აუქმებს მუშათა კლასს და ამავე დროს, ფართო მასების კეთილდღეობას უწყობს ხელს. მომსახურების სფეროს გავრცელებასთან ერთად ჩნდება ახალი მოთხოვნები, მაგ.: ოტელეზში, ტურისტულ ბიზნესში, ფსიქოთერაპიაში. როცა ადამიანი იღებს დამატებით ფულს, მას უჩნდება დამატებითი მოთხოვნები. გარდა ამისა, მომსახურების სფეროში სამსახური განსაკუთრებით რთულად ემორჩილება ავტომატიზაციას. ის ორიენტირებულია ადამიანზე და ჩვეულებრივ არამატერიალურია. ამ ევოლუციურ პროცესს განსაკუთრებული ადგილი უკავია ინდუსტრიამდელ და ინდუსტრიალ ეპოქაში. პოსტინდუსტრიალ საზოგადოებაში ვაღწევთ ტექნიკურ გაუმჯობესებას.

## ინფორმაციის როლი

შეიძლება აღინიშნოს, რომ კეთილდღეობის მყარ ზრდას მოყვას შრომის დომინირება მომსახურების სფეროში. ბელი აქცენტს აკეთებს ადამიანების ცხოვრების წესზე სხვადასხვა ეპოქებში. ინდუსტრიამდელ საზოგადოებაში მთავარი იყო ფიზიკური ძალა, ინდუსტრიულში ტექნიკისა და რაციონალიზაციის საზოგადოებაში წამყვანი იყო მანქანა. ამ ორი ეპოქისგან განსხვავებით პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში მთავარ როლს თამაშობს არა ძალა და ენერჯია, არამედ ინფორმაცია. სხვა სიტყვებით, ადამიანი საკუთარ არსებობას უზრუნველყოფს მიწის დამუშავებით და ტრადიციისა და ფიზიკური ძალის შენარჩუნებით (ინდუსტრიამდელი ეპოქა), მოგვიანებით ადამიანი საკუთარ მოთხოვნებსაპასუხობს მანქანური წარმოებით (ინდუსტრიული ეპოქა), შემდეგ კი იქმნება მომსახურების საზოგადოება (პოსტმოდერნული საზოგადოება), რომლის შრომის საგანსწარმოადგენს ინფორმაცია. საბოლოო ჯამში, “ურთიერთქმედება ადამიანებს შორის” არის ისეთი ურთიერთქმედება, რომლისთვისაც საბაზისო რესურსებს წარმოადგენს ინფორმაცია. სამუშაო მომსახურების სფეროში არის ინფორმაციული სამუშაო და ჩნდება ინფორმაციული სამუშაო.

ბელი აღწერს პოსტინდუსტრიული ინფორმაციული საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა მხარეს. პირველ რიგში, ინფორმაციულ მოღვაწეობას მოაქვს საზოგადოებაში არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილება, მეორე, მომსახურების სექტორში მნიშვნელოვანი საკითხია პროფესიული მუშაობა, რომელშიც როგორც ბელი ამტკიცებს 1980-იანი წლების ბოლოს მთელი სამუშაო ძალის 30% იყო დაკავებული, ეს ნიშნავს, რომ პოსტინდუსტრიულ ინფორმაციულ საზოგადოებაში ცენტრალური ხდება სპეციალისტის, პროფესიონალის მუშაობა და არსებობა. მესამე, პოსტინდუსტრიული საზოგადოების ძირითადი საკითხი ხდება პროფესიული ტექნიკური მომსახურება და მეოთხე, ეს პრინციპები ხდება განსაკუთრებული, “გადაწყვეტილი” ამ საზოგადოების მომსახურების სეგმენტში. მაღალი პროფესიული სამუშაო, ინტელექტუალების მაღალი როლი, მაღალი კვალიფიკაციის მნიშვნელობა უშუალო კავშირშია საზოგადოებასთან. ეს ყველაფერი წინ სწევს ცოდნისა და ინფორმაციის როლს. პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში, მომსახურების სფეროში, სპეციალისტისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ხდება კლიენტის მოთხოვნები.

საბოლოო ჯამში, ვერ გავეცევით დასკვნას, რომ პოსტინდუსტრიული ინფორმაციული საზოგადოება საზოგადოების მაღალი ფორმაა, მაღალ დონეზე დგას იმ მხრივ, რომ მისი წინამორბედი ყველა საზოგადოება მაღალი წარმოების შესაძლებლობისკენ ისწრაფოდა.

### ინტელექტუალური კონსერვატიზმი

აქედან გამომდინარე გასაგებია, რომ ინფორმაციული სამუშაოს მოცულობის ზრდა და პროფესიის დაუფლების მაღალი მიღწევადობა, რომელიც მოითხოვს სპეციალურ დიპლომს, აიძულებს დენიელ ბელს მოახდინოს გადამწყვეტი განხეთქილების იდენტიფიცირება ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ საზოგადოებას შორის. მიუხედავად იმისა, რომ უდავოა – ინფორმაციული დასაქმება ახლა უფრო მეტია ვიდრე ოდესმე და გამოყენებული ინფორმაციის რაოდენობა მკვეთრად იზრდება, ბელის მტკიცება თითქოს პოსტინდუსტრიალიზმი ნიშნავს სისტემურ წყვეტას წინა საზოგადოებასთან, იწვევს სერიოზულ ეჭვს.

ერთი პრობლემა დაკავშირებულია იმასთან, რომ ბელი თავის თეორიას ახალ საზოგადოებაზე აგებს საკმაოდ მყიფე საფუძველზე. არ არსებობს არავითარი იმანენტური (immanens – რალაციისთვის დამახასიათებელი) მიზეზი, რის შედეგადაც სპეციალისტების რიცხვის ზრდამ, თუნდაც მკვეთრმა, მიგვიყვანოს დასკვნამდე, რომ დგება ახალი ერა. მაგალითად საკმაოდ გონივრულად წარმოგვიდგება შემოთავაზება, რომლის მიხედვითაც, ვთქვათ, საკუთრების მოდელი მრეწველობაში რჩება იგივე, ხოლო ეკონომიკის განვითარების დინამიკა – მუდმივი, მაშინ სისტემაც – არ მივაქციოთ ყურადღება პრობლემას – რჩება იგივე. არავის შემოუთავაზებია ჩაგვეთვალა, რომ ისეთი ქვეყანა, როგორც შვეიცარიაა, რომელიც დიდწილად დამოკიდებულია საბანკო საქმიანობასა და ფინანსებზე, წარმოადგენს განსხვავებულ საზოგადოებას, ვიდრე ნორვეგია და ესპანეთი, სადაც მომუშავენი კონცენტრირებულნი არიან სრულიად სხვა დასაქმების სფეროში. სამივე მათგანი – განსაზღვრულად კაპიტალისტური საზოგადოებაა, როგორი გარეგნული თვისებებითაც არ უნდა გამოირჩეოდნენ ისინი ერთმანეთისგან.

რა თქმა უნდა ბელსა და მის თანამოაზრეებს აქვთ ამაზე ორი პასუხი. პირველი ტრიალებს პრობლემის ირგვლივ: ცვლილების რა ხარისხია აუცილებელი, რათა მივიდეთ დასკვნამდე, რომ მოხდა სისტემის განხეთქილება? ერთადერთი გულწრფელი პასუხი იქნება რომ: „ეს არის შეხედულებების და გონივრული დასაბუთების საკითხი“, და მე შევეცდები დავასაბუთო ჩემი აზრი იმაზე, რომ სისტემური განხეთქილება არ მომხდარა. მეორეც, უნდა ვაღიაროთ, რომ ბელი აწარმოებდა რა ცალკეული „სფეროების“ ანალიზს, შეეძლო ეპასუხა, რომ ცვლილება თითოეული შრის მიხედვით ახალი სოციალური წყობის მაუწყებელი იქნებოდა, მაშინაც კი, როცა სხვები არაფრით დაკავშირებული მასთან განზომილებები აგრძელებენ არსებობას კონტინუუმში (უწყვეტობა, ხანგრძლივობა). Ipso Facto (თვით ფაქტის ძალით) მისი რწმენა იდენტიფიცირებადი პოსტინდუსტრიული საზოგადოების არსებობის შესახებ, რომლის დამადასტურებელი არის ცვლილებები დასაქმების სფეროში და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება, შეიძლება გაგვეყო კიდევ. შემდეგ ნაწილში მე ამ მონაკვეთზე გავჩერდები და დავამტკიცებ, რომ მისი ანტიხოლიზმი შეუძმდგარია და სავსებით შესაძლებელია მოხდეს სისტემური ხასიათის იდენტიფიცირებადი კონტინუუმების დემონსტრირება.

მაგრამ სანამ გადავალთ ამ არსებით არგუმენტებზე, სასურველია განვიხილოთ კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც თავად ახალი პოსტინდუსტრიული ერის იდეა საექვო ჩანს. ეს მიეკუთვნება ბელის ვარაუდს, რომელიც მას მოყავს, ძველი რეჟიმიდან ახალზე გადასვლის ახსნისას. სვამს რა კითხვას, რატომ ხდება ეს ცვლილებები, ბელი მიმართავს არგუმენტებს, რომელიც ძალიან კარგად არის ცნობილი მეცნიერებებში საზოგადოების შესახებ. და მისი ინტელექტუალური კონსერვატიზმი გვაძლევს საფუძველს სკეპტიციზმით შევხედოთ მის განცხადებას, იმის თაობაზე, რომ იქმნება ახალი საზოგადოება.

მომეცით ნება განვმარტო ეს. როგორც ვხედავთ ცვლილებების მიზეზი, ბელის მიხედვით, არის ის რომ წარმოების ზრდა აძლევს შესაძლებლობას მომუშავეებს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სექტორიდან გადავიდნენ მომსახურების სექტორში. წარმოება იზრდება ტექნოლოგიური სიახლეების წყალობით, რომელიც შესაძლებლობას აძლევს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა მცირე რიცხვს გამოგვკვებოს ჩვენ და მრეწველებაში მომუშავეთა მცირე რაოდენობას უზრუნველყონ ჩვენი პროდუქტებით მომარაგება. ბელი წერს: „ტექნოლოგია... წარმოადგენს წარმოების ზრდის საფუძველს, ხოლო წარმოება იქცევა ეკონომიკური ცხოვრების ტრანსფორმაციულ ფაქტორად“. (1973, გ. 191). სხვა სიტყვებით, პოსტინდუსტრიული საზოგადოების საფუძველში დევს წარმოება, რადგანაც მისი წყალობით ხდება მომსახურების სფეროში მომუშავეთათვის ანაზღაურების გაცემა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამაში იკითხება სოციოლოგიური განხილვების საოცრად ნაცნობი ფორმები დაკავშირებული ტექნოლოგიურ დეტერმინიზმთან (ობიექტური კანონზომიერება), რომელიც უკვე დიდი ხანია იწვევს დიდ უნდობლობას მკვლევარებში. იგი შეიცავს ორ განსაკუთრებით საექვო ფარულ გზავნილს. პირველი: ტექნოლოგიები, თითქოს, სოციალური ცვლილებების განმსაზღვრელი აგენტები არიან; მეორე: ტექნოლოგიები თავისთავად განცალკევებულნი არიან სოციალური სამყაროსგან, თუმცაღა დიდი ზეგავლენა აქვთ მასზე. კრიტიკოსები იკითხავენ – სად არის აქ ადამიანი, კაპიტალი, პოლიტიკა, კლასი, ინტერესები? (Webster and Robins, 1986, гл. 2), შეიძლება თუ არა სერიოზულად ვამტკიცოთ, რომ ტექნოლოგიები, რომლებიც წარმოადგენენ რა ცვლილებების მამოძრავებელ ძალას, ამავე დროს სრულიად დამოუკიდებელნი არიან სოციალური ურთიერთობისგან? რაღა მოსდის მაშინ ღირებულებებსა და ძალებს, რომლებიც განსაზღვრავს ბიუჯეტს კვლევებისა და განვითარებისთვის? წარმოების განახლებაში ინვესტირებად კორპორაციის პრიორიტეტებს? მმართველთა უპირატესობებს, რომლებიც ირჩევენ სწორედ ამ პროექტს და არა იმას?

აქ მნიშვნელოვანია არა ტექნოლოგიური დეტერმინიზმის წინააღმდეგ წარმოთქმული მოსაზრებების დეტალური გარჩევა, არამედ შესაძლებლობა სრულად შეაფასო ბელის ინტელექტუალური კონსერვატიზმი. ის ეყრდნობა ძველ მოსაზრებებს, იმაზე, რომ ტექნოლოგიები არის ცვლილებების მამოძრავებელი ძალა (ეს მოსაზრება შეიძლება იპოვო ანრი სენ-სიმონთან და ოგიუსტ კონტთან, რომლებიც ქმნიდნენ თავიანთ ნაშრომებს ინდუსტრიალიზაციის ყველაზე ადრეულ საფეხურებზე, XVIII საუკუნის ბოლო წლებში) ისინი კი, უკვე დიდი ხანია ექვემდებარებიან სერიოზულ კრიტიკას სოციოლოგიის ყველა სახელმძღვანელოში. ისტორიულად გათამაშებული სოციოლოგიური წარმოდგენებისადმი ასეთი მიკერძოება გვაიძულებს დავსვათ კითხვა: როგორ შეძლო მან განესაზღვრა პოსტინდუსტრიალიზმის სიახლე?

მისი თვალსაზრისის სხვა წყარო მხოლოდ ამყარებს ამ ეჭვებს. საქმე იმაშია, რომ ბელი ბევრს სესხულობს მაქს ვებერისგან, კლასიკური სოციოლოგიის დიადი დამფუძნებლისგან, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში წერდა იმ დროისათვის

მიმდინარე ინდუსტრიული ცვლილებების შესახებ; კერძოდ, ბელი ვარაუდობს, რომ ვებერის უდიდესი წვლილი შედგება იმაში, რომ თავის ნააზრევში მან ძირითადი აქცენტი გააკეთა რაციონალიზაციაზე. ბელი ამტკიცებს: ვებერის აზრი, რომ „დასავლური საზოგადოების საფუძველი იყო რაციონალიზაცია“ (Bell, 1973, c. 76.), ნიშნავს პრინციპის – „ბევრი ცოტასთვის“ როლის ზრდას, ან „გავრცელებას მორალის ძალის მეშვეობით, რომელიც დაფუძნებულია ეფექტურობასა და გათვლაზე, „ეკონომიზაციის“ მიდგომით (მაქსიმალიზაცია, ოპტიმიზაცია, დანახარჯების შემცირება, რომელიც მიეკუთვნებოდა არამართო მატერიალურ რესურსებს, არამედ ცხოვრების ყველა მხარეს“ (c. 67). სხვაგვარად რომ ვთქვათ, წარმოების ზრდა, რომელიც ნამდვილად ახალი ტექნოლოგიების გამოყენების წყალობით ხორციელდება, ამ რაციონალიზაციის საფუძველში დევს. პროფესორ ბელისთვის „სოციალური სტრუქტურის წარმართველ პრინციპად მიიჩნევა ეკონომიზაცია – რესურსების განაწილების მეშვეობით შესაბამისობა უმცირესი დანახარჯების, ურთიერთჩანაცვლების, ოპტიმიზაციის, მაქსიმალიზაციის პრინციპებთან“ (c. 12; ავტორის კურსივი).

და ისევ ვხედავთ, რომ ბელი გვთავაზობს ჩვენ საოცრად ნაცნობ – და მკვეთრად შესაწინააღმდეგებელ – ცვლილების ახსნას (cf. Janowitz, 1974). ზუსტად ეს დევს მისი წარმოდგენის საფუძველში, რომ წარმოება იზრდება ტექნოლოგიურ ნოვაციებთან კავშირის გზით. ბელი უარყოფს ტექნოლოგიური დეტერმინიზმის ბრალდებას. ის ამტკიცებს, რომ ცვლილებების მიზეზი – ბევრად ღრმა და ფუნდამენტურია, და ეს – რაციონალიზაციაა, პრინციპის „ბევრი ცოტასთვის“ ფარული დინამიკა. ბელის გამოჩენილი კრიტიკოსი კრიშან კუმარი აღნიშნავს:

„ბელის პოსტინდუსტრიული საზოგადოების თითქმის ყველა დახასიათება შეიძლება განვიხილოთ როგორც ვებერის აზრის გაგრძელება და გადამუშავება „დასავლეთის ინდუსტრიულ საზოგადოებაში რაციონალიზაციის“ უსასრულო პროცესზე“.

(Kumar, 1978, c. 235)

თითქოსდა შეიძლება იყო ინტელექტუალურად კონსერვატიული და ამასთან დამაკმაყოფილებლად ახსნა რადიკალური სოციალური ცვლილებები, რომელსაც მივყავართ ახალი ტიპის საზოგადოების ჩამოყალიბებამდე. ჩემი აზრით, ეს შესაძლებელია, მაგრამ არა დენიელ ბელის შემთხვევაში. რადგანაც ვებერისგან თავისი დასესხებებით და ტექნოლოგიური დეტერმინიზმის შესახებ მომველებული იდეებით, ის აფრთხობს მკითხველს, იმეორებს რა არგუმენტებს, რომელიც თავისთავად უსვამენ ხაზს არა წარსულთან წყვეტას, არამედ მის წინამორბედობას.

ბელის დამოკიდებულება მეცხრამეტე საუკუნის მეცნიერების მიერ დამუშავებულ თემებზე, რომელთა ამოცანაც იყო დაედგინათ ინდუსტრიალიზმის წარმოქმნა და მისი განვითარების მიმართულება, ამცირებს პოსტინდუსტრიული საზოგადოების სიახლის შესახებ მისი განცხადების მნიშვნელობას. გარდა ამისა, სულ მცირე უცნაურია დაესესხო არგუმენტებს სოციოლოგიის კლასიკოსებს, რომლებიც მისწრაფოდნენ გაეგოთ ინდუსტრიალიზმის განვითარება, მხოლოდ იმისთვის, რომ მოეხდინათ დემონსტრირება – ახლა ისინი ამტკიცებენ ახლის, პოსტინდუსტრიული საზოგადოების აღმოჩენას. და ისევ კრიშან კუმარი, რომელიც სავსებით დადასტურებულად წერს:

„...მგონი პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორეტიკოსები ვერ იაზრებენ თუ რამდენად მნიშვნელოვანია იცოდე ვინ არის შენი მასწავლებელი, ამ სიტყვის ინტელექტუალური მნიშვნელობით. აშკარაა, მათ არ იციან, რომ დაკავშირებულნი არიან რა ასე მჭიდროდ და



ღრმად ინდუსტრიალიზმის კლასიკურ ანალიზთან, სადაოა მათ დამტკიცებულად აღწერონ ახალ საზოგადოებაზე გადასვლა. რაში მდგომარეობს სიახლე თუ საზოგადოებაში კვლავინდებურად დომინირებს კლასიკური ინდუსტრიალიზმის იგივე ძირითადი, განმსაზღვრელი პროცესები?

(Kumar, 1978, c. 237)

რაციონალიზაციის როლის ხაზგასმას ბელი დაჰყავს უკვე გაკვალულ გზაზე, ამასთან ყველა მათგანზე დგას მკვლევარების მიერ დადგმული გამაფრთხილებელი ნიშნები. აქ მთავარია, რომ მისი პოსტულატი, თითქოს, ყველა „ინდუსტრიული საზოგადოება ორგანიზებულია ფუნქციური ეფექტურობის პრინციპზე, რომლის სწრაფვაც წარმოადგენს მიიღოს „მეტი ცოტასთვის“ და აირჩიოს უფრო რაციონალური მოქმედების საშუალება (Bell, 1973, c. 75–76), უდაოდ ემყარება განვითარების კონვერგენციის თეორიას, რომელიც მხედველობაში არ იღებს, ან სულ მცირე რაციონალიზაციას უქვემდებარებს განსხვავებებს პოლიტიკაში, კულტურასა და ისტორიაში (Kleinberg, 1973). სჯერა რა, რომ არსებობს „საერთო დახასიათება ყველა ინდუსტრიული საზოგადოებისთვის, რადგანაც ტექნოლოგიები ყველგან ერთიანია, ერთიანია ტიპი ტექნიკური და საინჟინრო ცოდნის (შესაბამისად, განათლებაც); ერთიანია სამუშაო ადგილსა და შრომითი უნარის საერთო ნიშნით კლასიფიკაცია“, ბელი ამასთანავე ამტკიცებს, რომ ყველა საზოგადოება მიყვება ერთსა და იმავე განვითარების გრაფიკს, რომელმაც შეუძლებელია ისინი არ მიიყვანოს პოსტინდუსტრიულ საზოგადოებამდე.

ამას უკავშირდება სხვა პრობლემა. ბელი ხედავს წარმოების დამოკიდებულებას სოციალურ სტრუქტურაზე („ეკონომიზაციური“ ცხოვრების წესი ინდუსტრიულ საზოგადოებებში), რომელიც გამოწვეულია წარმოების მხარდაჭერის აუცილებლობით იმ დონეზე, რომელიც იქნება მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მომსახურების სფეროში; ხოლო ის თავის მხრივ ბადებს „სოციოლოგიზირებულ“ ან კომუნიტარულ აზროვნებას. თავისი მტკიცებით, რომ ეს აზროვნება არის პოსტინდუსტრიული საზოგადოების განმსაზღვრელი ნიშანი და ბადებს სკეპტიკურ დამოკიდებულებას ეკონომიკის სასარგებლო რეზულტატისადმი, ამავდროულად დამოკიდებულს ეკონომიკის განვითარებაზე პოსტინდუსტრიული საზოგადოების დასამყარებლად, ბელი გვაყენებს თავსატეხის წინაშე: ვცხოვრობთ ჩვენ ძველებურად – თუნდაც მომსახურების სფეროში მომუშავეთა დიდი რაოდენობით – ინდუსტრიულ საზოგადოებაში, რომლის საფუძველიც კვლავ რჩება პრინციპი – „მეტი ცოტასთვის“, თუ უკვე ნამდვილად გადავლახეთ ეს ზღურბლი? ამ კითხვას შეგვიძლია ვუპასუხოთ მხოლოდ ასე: „არამგონია შეგვეძლოს საუბარი პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაზე, თუ ავტომატიზირებული და წარმოების სისტემის არსებობა და განვითარება წარმოადგენს ბელის მიერ აღწერილი ყველა პოსტინდუსტრიული ცვლილების აუცილებელ პირობას.

### მომსახურების პოსტინდუსტრიული საზოგადოება?

მე ეჭვით ვუყურებ პოსტინდუსტრიალიზმის თეორიას, გვევლინება რა ის იმ სოციოლოგიის მწარმოებლად, რომელიც მუშავებოდა ინდუსტრიალიზმის ძირითადი მახასიათებლების გაგებისათვის. მე ასევე გამოვთქვამ სკეპტიციზმს პოსტინდუსტრიული საზოგადოების თაობაზე, ვიმედოვნებ რა, რომ არ არსებობს არავითარი საფუძველი მივიჩნიოთ, თითქოს დიდი დასაქმება პროფესიული მომსახურების სექტორში – და მთელი ინფორმაციული მოღვაწეობა მიეწერება ამ სექტორს – უნდა ნიშნავდეს რადიკალურად სხვა საზოგადოებრივი

წყობის დადგომას. თუმცა მე წარმომიდგენია, რომ არსებობს უფრო მკვეთრი მიზეზები, რათა ვუარყოთ ბელის მოწოდებული პოსტინდუსტრიული საზოგადოების აღწერა.

ყოველივე უფრო გასაგები გახდება ღრმა ანალიზის შედეგად იმისა, თუ რას მიიჩნევს ბელი პოსტინდუსტრიული საზოგადოების წარმოქმნის ძირითად მიზეზად – ეს არის მომსახურების სექტორის ზრდა. შემდგომში მე მოვახდენ დემონსტრირებას ამ სექტორის ზრდის წინამორბედობისა წარსულის წყვეტასთან დაკავშირებულ ბელის პოსტულატის საპირწონედ. ამას მე გავაკეთებ გერმანიის და მაილზის (ბელის ყველაზე ავტორიტეტული კრიტიკოსები) კრიტიკის გამოყენებით, და ჩვენ გავიგებთ, რომ პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორია შეუმდგარია.

ვაკეთებთ რეზიუმეს: პროფესორ ბელს მოყავს შეუვალე არგუმენტი – მომსახურების სექტორი ეკონომიკაში იზრდება, მაშინ, როცა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სექტორი მცირდება. ამ ფაქტს ბელი მიიჩნევს პოსტინდუსტრიალიზმის დადგომის მთავარ დასტურად. აქედან თითქოს ლოგიკურად გამომდინარეობს: პროფესიული მომსახურების სექტორი იზრდება და თუ ის უზრუნველყოფილია სიმდიდრის საკმარისი რაოდენობით, რომელიც წარმოებულია მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში წარმოებისა და ეფექტურობის ზრდის წყალობით, მაშინ ბოლოს ყველა იმუშავებს მომსახურების სფეროში. ხოლო თუ კეთილდღეობა იზრდება პირველი ორი სექტორის წყალობით, ე.ი. მომსახურების სფეროს ექსპანსიას არ აქვს საზღვარი, რადგანაც ადამიანები მხოლოდ იმაზე ოცნებობენ, სად დახარჯონ ფული (რაც სტიმულირდება დასაქმების ზრდით ამ სფეროში), ამასთან მომსახურების სფეროში შექმნილი სამუშაო ადგილები, რომელიც ორიენტირებულია ადამიანზე, არ ექვემდებარებიან ავტომატიზაციის პროცესს. ბელის ეს დასკვნა ეფუძნება ისტორიულ ანალიზს: მას მოყავს მონაცემები, რომელიც მეტყველებენ იმაზე, რომ 1947 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მუშა ძალის ნახევარზე ოდნავ მეტი იყო დაკავებული წარმოების სფეროში, ხოლო 49% - მომსახურების სფეროში, 1980 წლისთვის ეს მონაცემები უნდა შეცვლილიყო და გადანაწილებულიყო შესაბამისად 32 და 68% (Bell, 1973, c. 132). მოქმედების განვითარებამ დაადასტურა ეს ვარაუდი, მართლაც, ყველა მონაცემი მეტყველებს იმაზე, რომ დასაქმება მომსახურების სფეროში საგრძნობლად გაიზარდა საერთო დასაქმების პროცენტულ მაჩვენებელთან მიმართებაში და ამჟამად შეადგენს მომუშავეთა საერთო რაოდენობის 70% –ზე მეტს. ამრიგად, ალბათ შესაძლებელია მივულოცოთ პროფესორ ბელს, რომ მან განჭვრიტა ახალი საზოგადოების წარმოქმნა – პოსტინდუსტრიალიზმის – გაზრდილს მისი წინამორბედების საძირკველზე.

აუცილებელია გავიგოთ მტკიცებულებების სისტემა, რომელიც აქ გამოიყენება. ბელი ყოფს დასაქმებას სამ ცალკეულ სექტორად - პირველადი, მეორადი, მესამედი (საერთო გაგებით: სოფლის მეურნეობა, მრეწველობა და მომსახურება) - და თვითონვე მჭიდროდ აკავშირებს მათ. ის ამტკიცებს, რომ მომსახურების სექტორი დამოკიდებულია პირველი ორი სექტორის მუშაობაზე. მომსახურების სექტორი იყენებს რესურსს, რომელიც იწარმოება პირველ და მეორე სექტორში. მარტივად რომ ვთქვათ, ბელი უშვებს, რომ სექტორები, რომლებიც აწარმოებენ სიმდიდრეს, უნდა ახდენდნენ იმ სექტორის სუბსიდირებას, რომელიც იყენებს ამ სიმდიდრეს. რა თქმა უნდა საკმაოდ ცნობილი გზავნილია; მაგალითად სკოლა და საავადმყოფო უნდა ხარჯავდნენ იმდენს, რამდენსაც „ჩვენ მივცემთ თავს ამის უფლებას“, იყენებენ რა სიმდიდრეს, რომელსაც აწარმოებს მრეწველობა.

მთავარი, რაც უნდა შევითვისოთ: ბელი შემთხვევით არ იღებს კლასიფიკაციას დასაქმების სექტორის მიხედვით, როგორც პოსტინდუსტრიული საზოგადოების აღმოცენების

მაჩვენებელს. ის ასევე ახდენს ოპერირებას ეთიოლოგიაზე, მიზეზების თეორიაზე, რომელსაც ეფუძნება სტატისტიკური კატეგორიები. ხშირად არ ფორმულირდება, მაგრამ იგულისხმება დაშვება, რომ მზარდი წარმოება პირველად და მეორად სექტორში არის „გადასვლის პროცესის მოტორი“ საზოგადოებისთვის პოსტინდუსტრიულ ერაში, სადაც დომინანტი იქნება მომსახურების სექტორი. ბელისთვის სამწუხაროდ ეს გზავნილი არასწორია.

პირველი და ჩემი აზრით, ყველაზე მცირე პრობლემა, მდგომარეობს იმაში, რომ განვითარების სტადიებად დაყოფა - ინდუსტრიამდელიდან ინდუსტრიულამდე, ხოლო შემდეგ პოსტინდუსტრიულ საზოგადოებამდე, იმის მიხედვით თუ როგორ აძლევს მზარდი სიმდიდრე დასაქმებულთა უმრავლესობას საშუალებას იმუშაონ მანუფაქტურულ მრეწველობაში, შემდეგ კი, მომსახურების სექტორში - ისტორიულად გაუმართლებელია. მესამე მსოფლიოს ქვეყნებში მესამედი სექტორის უპირატესობა, რომელიც ახლა ეკონომიკაში არასახარბიელო ნიშნად ითვლება, ადასტურებს, რომ მომსახურების სფეროს განვითარებისთვის არ არის აუცილებელი ინდუსტრიული ბაზა, გარდა ამისა - და ეს კიდევ უფრო მეტად მუშაობს ბელის წინააღმდეგ - ცოტა რამ თუ მეტყველებს იმ მოსაზრების სასარგებლოდ, რომ განვითარებული საზოგადოებები გადადიან მრეწველობაში უფრო მეტად დასაქმებულთა სიტუაციიდან სიტუაციამდე, როცა მეტად დასაქმებულნი არიან მომსახურების სექტორში. ყველაზე გასაოცარი ცვლილება მოხდა მომსახურების სფეროში მუშა ძალის გადასვლასთან დაკავშირებით არა მრეწველობიდან, არამედ სოფლის მეურნეობიდან. დიდ ბრიტანეთში, ისტორიულად ყველაზე ინდუსტრიულ ქვეყანაში, დასაქმებულთა წილი წარმოებაში რჩებოდა საკმაოდ სტაბილური - დაახლოებით 45-50% 1840 წლიდან - 1980 წლამდე, ხოლო მრეწველობის კოლაფსი მოხდა რეცესიის და 1980-იან წლებში მთავრობის პოლიტიკის გამო, ასევე მუშა ძალის ფემინიზაციის შედეგად, რამაც მკვეთრად შეამცირა მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობა ერთ მესამედამდე.

ყოველივე ზემოთქმულმა უნდა დაამტკიცოს, რომ საუბრები ევოლუციურ წინსვლაზე ერთი სექტორიდან მეორემდე - სულ მცირე საეჭვოა. ინგლისის გარდა, არსად და არასოდეს მოსახლეობის უმრავლესობა არ მუშაობდა მრეწველობაში, და თვით ინგლისთანაც მიმართებაში ძნელია ამტკიცო, რომ დასაქმებულთა სფეროები იცვლებოდა თანმიმდევრულად. რა თქმა უნდა პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორიას შეეძლო ეღიარებინა სოფლის მეურნეობიდან მომსახურების სფეროში მუშა ძალის გადასვლის საერთო პრაქტიკა, ახსნიდა რა ამას, როგორც „ნახტომს“. ანუ - ან ავტომატიზაციის სიჩქარე იმდენად დიდია, რომ საზოგადოებას შეუძლია ერთი თაობის ცხოვრების მანძილზე „გადახტეს“ ინდუსტრიამდელი სტადიიდან პოსტინდუსტრიულზე, ან კიდევ წარმოების აღმავლობა სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში არ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. თუ ასეა, ბელის ფორმულირების მიმართ - „პროდუქტიდან მომსახურებამდე“ ეჭვის შენარჩუნებითაც კი, შეიძლება გავიზიაროთ მისი საკვანძო აზრი იმაზე, რომ მომსახურების სფეროს განვითარება დაკავშირებულია პირველ ორ სექტორში წარმოების მაღალ ზრდასთან.

მეორე წინააღმდეგობა უფრო სერიოზულია. გამოყოფა მომსახურების განსაკუთრებულ სექტორში - ეს არის სტატისტიკოსების აბსტრაქტული კატეგორია, რომლებიც დაკავებულნი არიან ეკონომიკური სექტორების მიხედვით დასაქმების გარკვევით და რომლებმაც უნდა გაცხრილონ ყველაფერი, რაც არ წარმოადგენს პირველად და მეორად სექტორს; ამასთან აღწერონ „კალათა სხვადასხვა განსხვავებული საქმის, უძრავი ქონებიდან მასაჟისა და კომპიუტერის სალონებამდე, ტრანსპორტიდან და ადმინისტრირებიდან - გართობის ინდუსტრიამდე“.

მომსახურების ინდუსტრიის ლოკალური ხასიათის ხაზგასმა მხოლოდ კლასიფიკაციის პირობითობაა, რომელიც გამოყოფს მესამედ სექტორს დანარჩენი ორისგან და ამას შევყავართ შეცდომაში. ეს სოციალური კონსტრუქტი - მომსახურების კატეგორიების გამოყოფა როგორც ცალკეულის, თუმცა დამოკიდებულებს სოფლის მეურნეობასა და მრეწველობის სფეროზე, - აძლევს საშუალებას ბელს, მისი ვითომდა ძლიერი არგუმენტების ზედაპირულობის მიუხედავად, ამტკიცოს, თითქოს და, მომსახურების სფერო გაიზრდება, დაეყრდნობა რა მზარდ წარმოებას პირველად და მეორად სექტორებში. თუმცა მხოლოდ თეორიულ დონეზე შეიძლება განვიხილოთ მომსახურების სექტორი როგორც ცალკეული, თუმცა დამოკიდებული სხვა ორ სფეროზე.

ეს ხდება ნათელი, როცა გერშუნისა და მაილზის შემდეგ ჩვენ შევეცდებით გავერკვეთ მომსახურების სექტორის რეალურ მნიშვნელობაში. ბელის ყველა ნაშრომში მომსახურების სექტორი უპირისპირდება მრეწველობისას, ჩვენ გვეუბნებიან, რომ პოსტინდუსტრიული საზოგადოება ჩნდება მობრუნებისას „პროდუქტიდან მომსახურებამდე“, მაგრამ ჩვენ არ გვიხსნიან, რა არის მომსახურება. თუმცა...

„ეს ხდება გასაგები, თუ მოვახდენთ შედარებას პროდუქტის ბუნებასთან: პროდუქტები მატერიალურია, მათ არსებობას გააჩნია ხანგრძლივობა დროში, მათ აწარმოებს ადამიანი მანქანების გამოყენებით, ისინი იყიდება და ნაწილდება სულ სხვა საშუალებით, ხოლო შემდეგ ადამიანები იყენებენ მათ თავიანთი საჭიროების მიხედვით. მომსახურება კი პირიქით – არამატერიალურია, არ გააჩნიათ ხანგრძლივი არსებობის უნარი, იწარმოება ადამიანების მიერ ადამიანებისთვის.“

(Gershuny, 1978, c. 56)

წინამორბედებისგან კარდინალურად განსხვავებული ბელის თეორია, რომელიც ახასიათებს პოსტინდუსტრიულ საზოგადოებას, როგორც განვითარების სტადიას, გულისხმობს, რომ მომსახურების სფეროში მუშაობა არის პროდუქტების წარმოების რაღაც საპირისპირო, რადგანაც ზუსტად მომსახურების შეთავაზება (რომელიც აღიქმება როგორც „ადამიანების ურთიერთქმედება“, ინფორმაციული და არამატერიალური) განასხვავებს პოსტინდუსტრიულ საზოგადოებას ინდუსტრიული საზოგადოებისგან, სადაც მომუშავეთა უმეტესობა დაკავებულია საგნების წარმოებით. ბელის თეზისის არსი არის ის, რომ საზოგადოება გამოდის ინდუსტრიალიზმის სტადიიდან, როცა მას აქვს საკმაო სიმდიდრე, რათა დახარჯოს იგი არამატერიალურ მომსახურებაზე, რაც, თავის მხრივ, შობს შესაბამის დასაქმების სფეროს, რომელშიც ექცევა მომუშავეთა უმეტესობა და რომელიც არ აწარმოებს პროდუქტებს, არამედ იყენებს რესურსებს, რომელიც შეიქმნა არა ამ სფეროში.

საზოგადოების და სოციალური ცვლილებების ეს მოდელი გარდაუვლად დგება ეჭვის ქვეშ მომსახურების სფეროში მუშაობის არსის უფრო ფოკუსირებული განხილვისას (ე.ი მომსახურების გაგებისას დასაქმების ტერმინში, და არა სექტორების კატეგორიზაციისას) და მესამედ და სხვა სექტორებთან რეალური შესაბამისობის დროს.

საკითხის უფრო მეტად შესწავლისას ხდება ნათელი, რომ დასაქმება მომსახურების სფეროში, რომელიც განისაზღვრება, როგორც წარმონაქმნი, პროდუქტი, რომელიც არამატერიალური და ეფემერულია (Gershuny and Miles, 1983, c.47), არ შემოისაზღვრება მესამედი სექტორით. ბუდალტერი, რომელიც მუშაობს ბანკში, შეიძლება მივაკუთვნოთ მომსახურების სექტორს, ბუდალტერი, რომელიც მუშაობს ელექტრონულ ქარხანაში - ინდუსტრიულ სექტორს ეკუთვნის, თუმცა სამუშაო რომელსაც ისინი ასრულებენ პრაქტიკულად არაფრით

განსხვავდება ერთმანეთისგან. ასევე დურგალი, რომელიც მუშაობს კოლეჯში ან მშენებლობაზე შეიძლება სხვადასხვა კატეგორიას მივაკუთვნოთ. აქედან გამომდინარეობს, რომ ასეთი კატეგორიზაცია არ გვაძლევს მკაფიო წარმოდგენას შესრულებული სამუშაოს ტიპზე და რომ პროდუქტის მწარმოებელთა უმრავლესობა მიეკუთვნება მომსახურების სექტორს, მაშინ როცა ბევრი მათგანი, რომელიც პროდუქტს არ აწარმოებს, მიეკუთვნება პირველად და მესამედ სექტორს. გერმანიისა და მაილზის გათვლებით მომსახურების სფეროში დასაქმების ზრდის ნახევარზე მეტი არის რეზულტატი „მესამედის შიდასექტორული ზრდის და არა სექტორთაშორისი ძვრების“. (1983, c.125)

დავუშვათ, თუ ქარხნის მეპატრონე ზრდის „თეთრსაყელოიანი“ თანამშრომლების რაოდენობას, ვთქვათ მარკეტინგის, შესწავლის და პერსონალის შერჩევის განყოფილებაში, ეს ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ კომპანიამ იმუშაოს უფრო ეფექტურად, დახვეწს რა მარკეტინგს, შეასწავლოს დასაქმებულებს უფრო მეტ მწარმოებლურ ტექნოლოგიებს და უფრო გულდასმით შეარჩევს პერსონალს. ყველაფერი ეს ადასტურებს სექტორის შიგნით შრომის მეტად განაწილებას, რომელიც ითხოვს უფრო მეტ პროფესიას, დაკავშირებულს მომსახურების სფეროსთან. თუმცა უფრო მნიშვნელოვანია, რომ მსგავსმა მაგალითებმა შეიძლება გვაიძულოს ჩვენ უარი ვთქვათ ბელის მტკიცებაზე, რომ თითქოსდა მომსახურების სექტორი „პარაზიტირებს“ მრეწველობის სექტორზე. თუ ჩვენ ვეცდებით განვსაზღვროთ მსგავსი პროფესიები ყველა სექტორის მიხედვით (მენეჯერები, ბანკირები, იურისტები და ა.შ) მაშინ ვერ შევძლებთ განვსხვავოთ, რომელ სექტორშია ეს პროფესიები მწარმოებელი, ხოლო რომელში მოიხმარენ ისინი რესურსებს, რომელიც წარმოებულია სხვაში. ხომ არ სჯობს უბრალოდ დავეჭვდეთ სექტორების ამგვარ დაყოფაში, რომელიც გულისხმობს, რომ ერთი სექტორი მთლიანად მწარმოებელია, მაშინ როცა სხვა დაკავშირებულია მხოლოდ გამოყენებასთან?

ზემოთქმული კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საზოგადოების განხილვის სარგებლობას ცალკეული სექტორების დონეზე, თუმცადა ყველაზე სერიოზული წინააღმდეგობა, როგორც ასეთი, მომსახურების სექტორთან მიმართებაში ჩნდება. მაშინ ცხადი ხდება, რომ მისი მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავებულია არა მრეწველობაში წარმოებული რესურსების მოხმარებით, არამედ პირიქით – ეხმარება მას განვითარებაში. გერმანს, ამტკიცებს რა, რომ „მომსახურების სფეროში დასაქმებულების რაოდენობის ზრდა... უმეტესწილად არის შრომის განაწილების პროცესის ანარეკლი“ (Gershuny, 1978, c.92), მივყავართ ჩვენ „მეორედ და მესამედ სექტორებს შორის სისტემური კავშირის“ გაგებამდე (Kumar, 1978, c.204) და შესაბამისად, სფეროებად მკვეთრი დაყოფის აბსურდამდე, როგორც ამას აკეთებს ბელი.

ბრაუნინგი და ზინგელმანი, მაგალითად, „წარმოებად მომსახურებას“ მიაკუთვნებენ საბანკო საქმესა და დაზღვევას, რომლებიც უმეტესად „ასახავენ შრომითი განაწილების ზრდას“ (Browning and Singelmann, 1978, c.30). მხოლოდ თეორიული თვალბანდის ჩამოცმის შემდეგ შეიძლება განვიხილოთ მომსახურების სექტორი, როგორც სრულად განცალკევებული წარმოებითი საქმიანობისაგან. გერმანის შემდეგ შენიშვნას არამდე დაყავს ყველა თეორიული მსჯელობა, რომელიც განიხილავს მომსახურებას, როგორც გაჩენილს წარმოების „სექტორიდან, რომლებიც უშვებს პროდუქტებს“:

„მესამეულ სექტორთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ავღნიშნოთ, რომ მართალია ის არ აწარმოებს მატერიალურ პროდუქტებს, თუმცა მისი მნიშვნელოვანი ნაწილი უშუალოდ დაკავშირებულია წარმოების პროცესთან, ამ სიტყვის უფრო ფართო გაგებით. მაგალითად, გამანაწილებელი, სადისტრიბუციო ინდუსტრია თავისთავად არ აწარმოებს მატერიალურ

საგნებს, და მაინც ის განუყოფელია ამ საგნების წარმოებისგან - თუ პროდუქტები არ გაიყიდება, მათ არ აწარმოებენ. ასევე ფინანსები და დაზღვევა ხელს უწყობს წარმოების და პროდუქტების შექმნის პროცესის განვითარებას... და თუმცა 1971 წელს დაახლოებით მომუშავე მოსახლეობის ნახევარი იყო დასაქმებული მესამედ სექტორში, მხოლოდ მეოთხედზე ნაკლები - 23,1% - უწევდა მომსახურებას უშუალოდ მომხმარებელს“.

(Gershuny, 1977, c. 109-110)

თვით განათლებაც კი, რომელიც ბელის აზრით, კლასიკურ მომსახურებას განეკუთვნება, რადგან არ აწარმოებს, მაგრამ რესურსებს კი მოიხმარს, სწრაფად იზრდება საზოგადოების მოთხოვნების ზრდის შედეგად, პირველ რიგში სამუშაო ძალის სისტემატიზაციის და სწავლების, კვლევით საქმიანობაში მუშაკების მოზიდვის საზოგადოებრივი მოთხოვნილებების შედეგად, რათა მენეჯმენტის ნაყოფიერების და ეფექტურობის ზრდა, აგრეთვე კორპორაციებში სამუშაოდ ინჟინრებისა და ჰუმანიტარების აუცილებელი რაოდენობა უზრუნველყოს.

მოკლედ, რომ ვთქვათ, საზოგადოების სიმდიდრის მწარმოებელ და მომხმარებელ სექტორებად, ან ბელის ტერმინებით საქონლისმწარმოებელ და მომსახურების სექტორებად დაყოფა, სხვა არაფერია, თუ არა „გმირული ზეგამარტივება“. იგი საზოგადოებრივი აზრის ცრურწმენებს კვებავს, ამასთან დაკავშირებით ჰ.პერკინი მწარედ შენიშნავს:

„კორპორაციების მრავალი წარმომადგენელი ფიქრობს, რომ კერძო სექტორი ქმნის სიმდიდრეს, რომელსაც საზოგადოებრივი სექტორი მოიხმარს, მაგრამ ეს ცხადი შეცდომაა. ასეთივე დარწმუნებით შეიძლება განვაცხადოთ, რომ საზოგადოებრივი სექტორი აწარმოებს და ამლიერებს – განათლებისა და ჯანდაცვის მეშვეობით – იმ უნარ-ჩვევებს, რასაც კერძო სექტორი ეყრდნობა. მსგავსი განცხადებები რთულად ურთიერთდაკავშირებულ საზოგადოებაში ისე გულუბრყვილოდ ჟღერს, როგორც საბავშვო მოედანზე გაჟღერებული „თვით გასულელებული“.

პერკინი, 1989, გვ.502.

### მომსახურება და წარმოება

წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მომსახურება შეიძლება გამოვყოთ სხვა შრომითი საქმიანობისგან, წარმოდგენს სიცრუეს. გერშუნისა და მაილსის გამოკვლევებებზე დაყრდნობით შეიძლება გავაგრძელოთ კრიტიკა. თავის წიგნში *The New Service Economy* (1983) გერშუნი და მაილსმა გადმოატრიალეს ენგელის თეორია; ისინი გვახსენებენ, რომ მომსახურების სფეროში სამუშაო დონის გათვალისწინებით „დანიელ ბელი ამოდის *ex post facto* – ს მოდელიდან.

ბელი, რომლის ამოსავალი წერტილია ის, რომ ჩვენს დროში მომსახურების სფეროში გაიზარდა სამუშაო, იხედება უკან და აკეთებს დასკვნას ენგელის მეთოდებიდან, რომლებიც გულისხმობენ შემდეგს: თუ ადამიანი ხდება უფრო მდიდარი, ის იწყებს დამატებითი შემოსავლების ხარჯვას მომსახურების შექმნაზე. ბელიც ამტკიცებს, რომ და თუ ჩვენს გარშემო ასე ბევრია მომსახურების სფეროში მომუშავე, მაშინ გამოდის, რომ ხალხი მეტს ხარჯავს მომსახურებაზე. ერთი შეხედვით თითქოს ეს სიმართლეა, რეალურად კი, ეს შეცდომაა და ის მომდინარეობს იქიდან, რომ ბელს არ მიეცა შესაძლებლობა გაეგო რას აკეთებენ სინამდვილეში ამ სფეროში მომუშავეები. როგორც უკვე ვნახეთ, სამუშაო მნიშვნელოვანი

ნაწილია იმათთვის, ვინც დაკავებულია მომსახურების სფეროში და მიმართულია პროდუქტის წარმოების ეფექტურობის ზრდაზე.

მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა დაკავშირებულია იმასთან, რომ ბელმა ვერ გაითვალისწინა შემდეგი: ხალხი თავის მოთხოვნილებებს მომსახურებაში იკმაყოფილებს, პროდუქტის შექმნაში ფულის ჩადებით და არა მომსახურების სფეროში მომუშავეთა დაქირავებით, რომლებსაც შეეძლოთ გაეკეთებინათ ნებისმერი რამ მათ მაგივრად. გერშუნი და მაილზი მიდიან იმ აზრამდე, რომ ენგელის ფორმულის გადატრიალებით და დასმული საკითხით, არ შეიძლება რომ საკიტხი დადგეს სხვაგვარად, რომ მზარდ შესაძლებლობებს არ მიეყვართ პირადი მომსახურებისთვის ხარჯების ზრდასთან, რამდენადაც შესაბამისად გაიზრდება მომუშავეთა შრომითი ანაზღაურება, დავარდება ფასი სამეურნეო ტექნიკაზე და არა მომუშავეთა დაქირავებაზე. კონკრეტულად თუ ვიტყვით, როცა ცხოვრების სტანდარტები იზრდება, იზრდება მომსახურებისადმი მოთხოვნილებაც (ენგელის მიხედვით), მაგრამ ხალხი მზად არაა გადაიხადოს მომსახურებისთვის, დაქირავებული მუშისთვის, როცა ბაზრზე შეუძლიათ შეიძინონ პროდუქცია, რომელიც უფლებას მისცემს მათ სურვილისამებრ მოემსახურონ საკუთარ თავს; მაგალითად, ადამიანს სურს მის სახლში განსაზღვრული ხარისხის სისუფთავე, მაგრამ ის მზად არაა გადაუხადოს დამლაგებელს ფული და ამიტომ ყიდულობს მტვერსასრუტს, რომ ეს საქმე გააკეთოს თვითონ. იმისთვის, რომ მისი სახლი მუდამ იყოს ახლაგარემონტებული ის მზად არაა გადაუხადოს მღებავებს და იძენს ხელსაწყოთა კომპლექტს “გააკეთე თვითონის” სერიიდან, იმისთვის, რომ რემონტი გააკეთოს თვითონ.

გერშუნი და მაილსი აღიარებენ, რომ ენგელის ფორმულა არის ჭეშმარიტი და ხალხს რეალურად სურს მიიღოს მომსახურება, რამდენადაც მომსახურების ფასი, რომელიც სხვა ადამიანის მიერაა შემოთავაზებული, მეტნაკლებად მიმზიდველია, ვიდრე შინამეურნეობის ხელსაწყოებისა, რომლებიც ჩაფიქრებულის გაკეთების შესაძლებლობას იძლევიან. თავის რიგში ასეთი მომხმარებელი ითხოვს მომსახურებას პროდუქტის ფორმაში, რაც შეიძლება ჩაითვალოს “სერვისული მომსახურების უზრუნველსაყოფად სიახლეების წარმოებაზე ზეწოლად”. ( Gershuny and Miles, 1983G), და ეს ნიშნავს რომ მომსახურების სფერო გავლენას ახდენს თვით წარმოების სფეროზე. ისეთი მაგალითები, როგორცაა მანქანების და სხვადასხვა სამეურნეო ნაწარმის წარმოება, მიუთითებენ პროდუქტის შექმნის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ტენდენციაზე, მომუშავეის დაქირავებასთან შედარებით. გერშუნი ამტკიცებს, საკუთარი სიტყვების შთამაგონებელი ემპირიული მტკიცებულებებით გაძლიერების საშუალებით, რომ სამეურნეო პროდუქციის გავრცელება მიუთითებს “თვითმომსახურების ეკონომიკის” ზრდაზე - პრაქტიკულად ეს წინააღმდეგობაში მოდის ბელის პოსტინდუსტრიულ გაერთიანებასთან. (Gershuny 1978 ) - რომელიც აქტიურად ზემოქმედებს როგორც მომსახურების სექტორზე, ისე ამ სფეროში მუშაობაზე. ის წერს: “...მომსახურებისა და მოთხოვნილების სფეროში ცვლილებების მოდელის დეტალურმა დაკვირვებებმა... უკანასკნელი 25 წლის მანძილზე აჩვენებს არა თანდათანობითი წარმოჩენა “მომსახურების ეკონომიკისა”, არამედ რაღაც პირდაპირ, სრულიად საწინააღმდეგო. იქ, სადაც ჩვენ ველოდით, ბელის პოსტულატთან შესაბამისობაში, რომ ვნახავდით მომსახურების მოთხოვნილების შესამჩნევ ზრდას, ჩვენ აღმოვაჩინეთ მათი შესაბამისი წილის აშკარა დაცემა. მომსახურების შექმნის ნაცვლად საოჯახო მეურნეობები სულ უფრო მეტად იძენენ, უფრო სწორედ ინვესტიციებს დებენ ხანგძლივი, მოხმარების საგნებში, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან მომხმარებელმა თვითონ აწარმოოს მომსახურება თავისთვის”.

Gershuny, 1978.

შემდეგ, ეს სამეურნეო ტექნიკა “უზრუნველყოფს ფუნდამენტალურ რესურსს სტრუქტურული ცვლილებებისთვის მთელს მრეწველობაში” ( Gershuny and Miles, 1983, გვ 121 ). ” სამეურნეო ტექნიკის სამრეწველო წარმოება” (გვ 84) ინდიკატორის როლს ასრულებს იმისა, რომ ავტორები, რომლებიც კიდევ იქნებიან წარმოდგენილი ამ წიგნში, ასახელებენ მომხმარებლურ კაპიტალიზმს, ამასთან ვარაუდობენ, რომ პროდუქციის წარმოება და მომსახურება მჭიდროდ არიან ურთიერთდაკავშირებულნი. ეს ავტორები აქცენტს აკეთებენ ბელის ცნობილ თეორიულ და მეთოდოლოგიურ გზავნილზე: საზოგადოების დაყოფა ერთმანეთთან კავშირის არ მქონე სფეროებად არის სრული ნონსენსი (სისულელე). ისტორია აჩვენებს, რომ დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკაში 1950-1960 წწ დომინირებდნენ “სოციალური და ტექნოლოგიური ინოვაციების შედეგები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ სერვისის ფუნქციის განსაზღვრულ ნაწილს, კონკრეტულად კი, ტრანსპორტს, სამეურნეო სერვისებს, გართობას. ”სხვა სიტყვებით, ომის შემდგომ დასავლურ ქვეყნებში “სამრეწველო ” სექტორი არ აკმაყოფილებდა სიმდიდრის მოგებას (ან “პროდუქტებისა”), რომლებიც მისცემდნენ შესაძლებლობას აენაზღაურებინათ მომსახურების სფეროს მომუშავეები. რამდენადაც ყველაზე აქტიური აღმოჩნდა სამეურნეო ტექნიკის ზრდა, რომელიც პასუხობდა მომხმარებელთა ინტერესებს და შეეძლო ჩაენაცვლა მომსახურების სფეროს მომუშავენი. ბელის თეორიული კონსტრუქციები არ ითვალისწინებენ ამ ფაქტორს, რადგანაც მისი გონივრული ახსნა მოითხოვს საზოგადოების აპრიორულად სამ სფეროდ დაყოფის უარყოფას.

გერშუნის კრიტიკასთან დათანხმება ნიშნავს, რომ ჩვენ აგმოვჩნდით ბელის პოსტინდუსტრიული საზოგადოების მიღმა. ეს უარყოფა შეიძლება იყოს სრულყოფილი, რომელიც უარყოფს ყველაფერს – ბელის ანტიპოლისტური დოგმიდან (არაა საზოგადოება გარედან გახლეჩილი და შიგნიდან შეკრული) მის მთავარ მდგომარეობამდე იმის შესახებ, რომ სოციალური ცვლილებები წარმოადგენენ თანდათანობით ევოლუციას “ეკონომიკურ მომსახურეობამდე”. ეს ახსნა – განმარტებები აღმოცენებული ΠΙΟ დან გამომდინარეობენ არასწორი გზავნილებიდან, მისი აღწერილობა “ მზრუნველი საზოგადებისა ” არადამაჯერებელია, ხოლო მისი დარწმუნებულობა იმაში, რომ შესაძლებელია საქმიანობის სამი განსხვავებული სფეროს იდენტიფიცირება (რომლებიც ამასთან არიან მიზეზობრივად დაკავშირებულნი, რამდენადაც მომსახურების სექტორი დამოკიდებულია პროდუქტის წარმოების სექტორზე) არაკორექტულია.

საჭიროა ვაღიაროთ ,რომ მომსახურების სფეროში სამუშაო, ”თეტრი საყელოს” რაოდენობრივი ზრდა და მომსახურების სფეროში პროფესიების რაოდენობის ზრდაც \_ რასაც ბელი აშკარად უსვამდა ხაზს – არ გულისხმობს პოსტინდუსტრიული ერის დადგომას. საპირისპიროდ, ეს ტენდენციები ყველა ერთად და თითოეული ცალ-ცალკე სავსებით შესაძლებელია აიხსნას უწყვეტობის პოზიციიდან, რომელიც გამყარებულია და ურთიერთდამოკიდებულია სოციალურ – ეკონომიკურ სისტემებთან. იმასთან ერთად, რომ ყველა ამ ძვრებს და ცვლილებებს რეალურად მივყავართ ინფორმაციის რაოდენობის ზრდასთან და ინფორმაციულ საქმიანობამდე, იქნებოდა შეცდომა გვემტკიცებინა, რომ წარმოიშვა პოსტინდუსტრიული ინფორმაციული საზოგადოება.

ამ ბოლო შენიშვნას მინდა დავუმატო კიდევ ერთი. ადვილია დაეთანხმო იმას, რომ თანამედროვე საზოგადოებაში უფრო მეტია ინფორმაციული საქმიანობები, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ეს არის კიდევ მთავარი მიმართულება ამ წიგნისა. როგორც უკვე ვნახეთ, ბელი ინფორმაციული საქმიანობის გაზრდას მიაწერს მომსახურების “პირად” სფეროში საქმიანობის



ზრდას. მიუხედავად ამისა, რთული არ იყო დემონსტრირება იმისა, რომ *contra* ბელი, რეალური ეკონომიკა არის ინტეგრირებული და შესაბამისად მომსახურების არა იმდენი სექტორი შეიწოვს პროდუქტების მაწარმოებელი სექტორის რესურსებს, რამდენსაც მნიშვნელოვანი ნაწილი მომსახურების სექტორისა, რომელსაც შეუძლია პროდუქციის მაწარმოებელი სექტორის განვითარება.(?) ამ შემთხვევაში წარმოიშობა კითხვა ინფორმაციის რაობის და ინფორმაციული საქმიანობის შესახებ რეალურ დროში.

ითვლება რომ ჩვენ ვხედავთ ინფორმაციის როლის ზრდას კომერციულ ბაზარზე, ამ სიტყვის ყველაზე ფართო მნიშვნელობით. ზოგიერთი კომენტატორები ვარაუდობენ, რომ ეკონომიკა – არა მხოლოდ სოფლის მეურნეობა და წარმოება, არამედ ყველა მისი განშტოება, რომლებთაც თავისი წვლილი შეაქვთ ВНП ში (შესაძლოა სხვაგვარადც იყოს) – განიცდის განსაკუთრებულ დანაკლისს ინფორმაციისას, უფრო მნიშვნელოვანს და ძლიერს, ვიდრე მომსახურების სფეროს მომუშავეების მოთხოვნილებები, რომლებზეც აკეთებს აქცენტს ბელი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მაწარმოებელი სერვისები (ისეთი საინფორმაციო საქმიანობა, როგორცაა საბანკო საქმე, კვლევითი მუშაობა, სარეკლამო საქმე, მონაცემების ონ-ლაინ რეჟიმში გადაცემა, კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა, კონსულტირება მენეჯმენტის საკიტხებში) – რეალურად წარმოადგენენ ეკონომიკური აქტიურობის დამატებით მაჩვენებლებს. როგორც გერშუნი აჩვენებს, ზუსტად მათ აქვთ შესაძლებლობა განავითარონ ეკონომიკა უფრო ფართო გაგებით, რამაც პირველ პლანზე წასწია ინფორმაცია უკანასკნელ ათწლეულში. ასევე ფიქრობს პოლიტიკური ეკონომისტი ბილ მელოდიც. ის წერს, რომ: “ინფორმაციული პროდუქტები და სერვისები უფრო ანადგურებს წარმოებას, ვიდრე მოსახლეობას. ჩვენ უნდა ვადიაროთ, რომ ინფორმაცია წარმოადგენს ფუნდამენტალურ ფაქტორს თანამედროვე ეკონომიკაში. ძირითადად წარმოების ყველა მიაბრტულებაში გადასტრუქტურირება და გლობალური ინფორმაციული ეკონომიის შექმნა ემყარება ინფორმაციის როლის შეცვლას.”

**Melody, 1991, გვ 2.**

შემდგომში ჩვენ გავცნობით სხვა სწავლულებს, რომლებიც, პოსტინდუსტრიული საზოგადოების წინააღმდეგ გამოსვლებით, მაინც ეთანხმებიან იმას, რომ ინფორმაცია და საინფორმაციო საქმიანობამ მე-20 საუკუნის ბოლოს დაიკავეს სტრატეგიულად უფრო მნიშვნელოვანი პოზიციები ეკონომიკაში, სოციალურ ცხოვრებაში და არა თქმა უნდა პოლიტიკაში.

### თეორიული ცოდნა

ბელის პოსტინდუსტრიალური მოდელის საფუძველი არასაიმედოა. თუ ასეა, მაშინ უაზრო იქნება პოსტინდუსტრიულ და ინფორმაციული საზოგადოების თანასწორობაზე საუბარი: იმდენად, რამდენადაც მისი მტკიცებები, რომ ПИО განისაზღვრება პროფესიონალების მუშაობის გაზრდილი როლით, » თეთრი საყელოებით» მომსახურების სექტორში, მაშინ არასწორია მისი პოსტულატიც, რომ პოსტინდუსტრიალიზმი წარმოადგენს ადეკვატურ ანარეკლს ინფორმაციული ეპოქისა. და მთავარი – არაა არავითარი ნიშანი განხეთქილების წინამორბედ საზოგადოებებთან, საკითხი დგას სხვაგვარად, როგორც კრიშან კუმარა აღნისკვნს: ” თეორიტიკოსების მიერ გამოყოფილი განვითარების მიმართულებები, წარმოადგენენ გამაძლიერებელ და განმსაზღვრელ ტენდენციებს, სრულიად ნათელ განვითარებას ინდუსტრიალიზმისა” (Kumar, 1978, გვ 232). რამდენადაც ეს ასეა, ჩვენ უნდა ვუარყოთ პოსტინდუსტრიალიზმის იდეა, როგორც ინფორმაციის როლის გაგების

შესაძლებლობა. ჩვენ კვლავ ვდგავართ უდავო საკიტხის წინაშე, რომ განვითარებულ საზოგადოებაში გაჩნდა უფრო მეტი სამუშაო, დაკავშირებული ინფორმაციასთან, თუმცა ეს ფაქტი არასკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ ის თავისთავად აჩენს საზოგადოების ახალ ტიპს. როგორც არ შეიძლება ვისაუბროთ ახალი ტიპის საზოგადოების წარმოშობაზე მხოლოდ იმიტომ, რომ გაიზარდა ინფორმაციულ სფეროში საქმიანობა, ისე არ შეიძლება მტკიცება იმისა, რომ ინფორმაციის გაზრდილი რაოდენობა თავისთავად მიუთითებს ახალი საზოგადოების წარმოშობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმით იმას, რომ ახალი ტიპის საზოგადოებას წარმოშობს ინფორმაცია იმ კუთხით, როგორც ამას ბელი ხედავს მის თვალთახედვაში ინფორმაციის შესახებ, არის სხვა ასპექტებიც, რომლებიც იმსახურებენ ყურადღებას. პოსტინდუსტრიული საზოგადოების აღწერით, ბელი აღნიშნავს არა მხოლოდ ინფორმაციის რაოდენობის ზრდას, როგორც მომსახურების სექტორში საქმიანობის ზრდის შედეგი, არის ასევე სხვა, უფრო სდულყოფილი დახასიათება ინფორმაციისა ПИО ში. ბელის განსაზღვრებით, საზოგადოების "ღეძი" არის თეორიული ცოდნა. მართლაც, სპეციალისტების რაოდენობის ზრდა მიუთითებს იმ ადამიანების რაოდენობის ზრდაზე, რომლებიც იყენებენ თეორიულ ცოდნას და შეაქვთ მასში თავისი წვლილი, აქ ჩვენ საქმე გვაქვს არა სუფთა რაოდენობრივ - იმ დროს, როცა ის ადვილად ექვემდებარება გაზომვას (იურისტების რაოდენობა, რიგითი დაქირავებულები და ა.შ) - ფენომენტან. ეს არის სწორედ ის დახასიათება ПИО სი, რომლითაც ის აშკარად განსხვავდება სხვა საზოგადოებებიდან და რომელსაც მივყავართ სერიოზულ შედეგებამდე. ბელის მიხედვით, (ცვლილებები დასაქმების სფეროში, სექტორული ძვრები და ა.შ), იმდენად, რამდენადაც თეორიული ცოდნის ცენტრალური ადგილი ПИО ში არ მოითხოვს მისგან, დიდ დროს სამუშაოს ხასიათში, და რა თქმა უნდა, თვით შრომას, ბოლომდე არცაა გასაგები, როგორ ეწყობა ის ПИО ს სხვა მახასიატებლებს. თუმცა, მას აქვს გრანდიოზული მნიშვნელობა ცხოვრების ყველა ასპექტსთვის. ბელი თვლის, რომ "კარდინალურად ახალი ახლა - ესაა თეორიული ცოდნის კოდიფიცირება და მისი როლი ინოვაციებში, როგორც ახალი ცოდნის შექმნის სფეროში, ისე პროდუქტების და სერვისების წარმოების სფეროში" (Bell, 1989, გვ 189). ამაზე ბელი აგებს დახასიათებას: "პოსტინდუსტრიული საზოგადოება (როგორც) ცოდნის საზოგადოება, (იმიტომ რომ) ნოვაციის წყარო სულ უფრო და უფრო მაღალი ხარისხით ხდება მუშაობა კვლევებისა და განვითარების მიმართულებით (უბრალოდ რომ ვთქვათ, თეორიულ ცოდნასთან მიაერთებაში გაჩნდა ახალი კავშირები ცოდნასა და ტექნოლოგიას შორის).

Bell, 1973, გვ 212.

ПИО ს თუ შევადარებს ინდუსტრიულ საზოგადოებასთან, თეორიული ცოდნის ძირითადი არსი იქნება გაგება. ადრე გამოგონებები კეთდებოდა თვითნასწავლი ტალანტების საშაულებით, რომლებიც რაიმე პრაქტიკულ წინააღმდეგობასთან შეჯახებისას ცდილობდნ ის გადაეწყვიტათ მცდელობისა და შეცდომის საშაულებით, ემპირიულად. მაგალითად, ჯორჯ სტივენსონი, რომელმაც პირველი ორთქმავალი გამოიგონა, ის შეეჯახა პრაქტიკულ დავალებას - საბადოდან ნახშირის მოპოვება, რომლებიც მდინარიდან დაშორებით იყო განთავსებული - და ამის გადაწყვეტით შექმნა მატარებელი, რომელიც დადიოდა ლიანდაგზე ორთქლის ძალით. ილი ჯეიმს უატტი რომლის ძრავა გახდა შედეგი მცდელობისა, რომ გაეუმჯობესებინა ტომას ნიუკომენის მოდელი. ხოლო მე-20 საუკუნის დასაწყისში ჩვენ გვყავდა ჰენრი ფორდი, ნიჭიერი პიონერი მანქანათმშენებლობისა, რომელსაც არ მიუღია

რეალური საინჟინრო განათლება, სამაგიეროდ ბუნებამ დააჯილდოვა ის გაუმძლარი ცნობისმოყვარეობით.

ПИО, საწინააღდეგოდ, ხასიათდება როგორც “ თეორიის მბრძანებლობა ემპირიულ გამოცდილებაზე და ცოდნის კოდიფიკაციაზე სიმბოლოების აბსტრაქტულ სისტემებში, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნან იმისთვის, რომ ნათელი მოჭფინოს პრაქტიკული გამოცდილების სხვადახვა სფეროებს” (Bell, 1973, გვ 20 ). ეს ნიშნავს იმას, რომ ინოვაციის საწინდარი ამიერიდან დევს თეორიული პრინციპების სფეროში; მაგალითად, ინფორმატიკა სათავეს იღებს ალანა თიურინგის ნაშრომში “თვლადი რიცხვების შესახებ დამატებითი უფლებების პრობლემებთან”, რომელიც აყალიბებს ორმაგი ნოტაციის პრინციპს და ელექტრონული სქემების უკიდურეს მინიატურიზაციაში. და რამდენადმე შემამინებელი პოტენციური შედეგები გენური ინჟინერიისა დაკავშირებულია ადამინის გენური კოდის იდენტიფიკაციასთან, რამაც მიგვიყვანა ამბიციური პროექტის შექმნამდე “ადამიანური გენი”. როგორც ბელი წერს, წარმოება ПИО ში “პირველ რიგში დამოკიდებულია თეორიულ დამუშავებაზე, წარმოების წინსვლის პროცესზე”( 1973, გვ 25)

ჩვენ უნდა დავფიქრდეთ, რომ თეორია თამაშობს პირველხარისხოვან როლს არამხოლოდ ინოვაციური ტექნოლოგიების სფეროში, არამედ ეკონომიკაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგალითად მთავრობები ატარებენ პოლიტიკას, რომელიც ეფუძნება ეკონომიკის თეორიულ მოდელებს. მოდელები შეიძლება იყოს სხვადასხვა. მაგრამ ყველა ისინი წარმოადგენენ თეორიულ ჩარჩოებს, რომლებშიც მინისტრები დღიდან დღემდე იღებენ გადაწყვეტილებებს. შეიძლება მოიძებნოს თეორიის მბრძანებლობის მაგალითებიც სოციალური პრობლემების გადაჭრისას, ვტქვათ, საგანმანათლებლო და ჯანდაცვის სისტემების ფორმირებისას, როცა ექსპერტები აკეთებენ დასკვნებს, ოჯახების თეორიულ მოდელებზე დაყრდნობით, ითვალისწინებენ სხვადასხვაობას ცხოვრების სტილსა და დემოგრაფიულ ტენდენციებს შორის. სასარგებლოა ყურადღება გავამახვილოთ თანამედროვე პოლიტიკაზეც, მიზანმიმართულ გადაწყვეტილებაზე ეკოლოგიური პრობლემების შესახებ. თითქოსდა უცებვე ხდება ცხადი რომ, ეს პოლიტიკა არ ვლინდება მნიშვნელოვან პასუხად ძირითადად პრობლემებზე (ნავთობის ზღვაში ჩაღვრა, გაუდაბნობა და ა.შ). ასეთი ტიპის საკითხები გათვალისწინებულია, რა თქმა უნდა, რადგან არის მიზეზები, რომლებიც ეფუძნებიან ეკოსისტემის სტაბილურობის თეორიას. დისკუსიები ეკოპრობლემებზე მუდმივად იკვებებიან თეორიული ინფორმაციით, ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორცაა მოსახლეობის ზრდა, თევზის მარაგი და ოზონის შრის მდგომარეობა. პრაქტიკული პოლიტიკის წარმოდგენა შეუძლებელია მსგავსი ტიპის თეორიებზე დაყრდნობის გარეშე. და რეაქცია დიდ ბრიტანეთში საკმაოდ წვიმიან, ან საკმაოდ ცხელ ზაფხულზე გასაგები ხდება გრძელვადიან თეორიულ მოდელებში გლობალური დათბობის ალბათობისა და მოსალოდნელი შედეგების საფუძველზე. მართალია მსგავსი მოდელები თანამედროვეობაში არ არის ბოლომდე დამუშავებული და მიახლოებითია, მაგრამ ის, რაც არსებობს, გვაძლავს შესაძლებლობას გავიგოთ: მიუხედავად იმისა, რომ თეორიული ცოდნა, არცერთი თვალსაზრისით არ წარმოადგენს “აბსოლუტურ ჭეშმარიტებას”, ის მაინც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩვენს ცხოვრებაში. უდავოა, თეორიული ცოდნა, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ, ხშირად არ არის ზუსტი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის არის ჩვენი ქცევის წინამძღვარი. თუ ადრე ქცევა იყო პასუხი პრაქტიკულ შეკითხვაზე (ტექნიკური პრობლემები, სოციალური სირთულეები), ახლა უკვე მნიშვნელოვანი ნაწილი ცხოვრებისა ორგანიზებულია თეორიული ქცევის საფუძველზე, აბსტრაქტულ, საზოგადო პრინციპებზე.

ბელი თვლის, რომ ამ ცვლილებებს მივყავართ სერიოზულ შედეგებამდე. შესაძლოა, უფრო სერიოზულამდე, ვიდრე თეორიის პრიორიტეტი ყველა სფეროში, რომელიც ПИО ს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ უფრო მაღალ ხარისხში დაგვემოს და დაკვირვებულად აკონტროლოს მომავალი, ვიდრე წინამორბედი საზოგადოება. ეს შესაძლებლობა, რა თქმა უნდა შეესაბამება სპეციალისტების ვარაუდს ცხოვრების დაგეგმვისა და ორგანიზაციის შესახებ. გარდა ამისა, ინფორმაციული ტექნოლოგიების წყალობით თეორიული ცოდნა გახდა უფრო ხელმისაწვდომი. კომპიუტერიზაცია იძლევა არა მარტო იმის შესაძლებლობას, რომ მოხდეს “ორგანიზაციული სირთულებების” მართვა, არამედ პროგრამირების საშუალებით შეიქმნას “ინტელექტუალური ტექნოლოგია” (Bell, 1973, გვ 29 ), რომელიც საკუთარ თავში გულისხმობს ცოდნას (უფლებები, ოპერაციები და ა.შ) და თავისთავად ხელს უწყობს ინოვაციებს, დაფუძნებულს თეორიულ ცოდნაზე.

ასეთი შეხედულება თეორიულ ცოდნაზე - ეს, უდავოა, შთამბეჭდავი იდეაა, ის პირველ რიგში საზოგადოებას განსაზღვრავს, როგორც ახალ საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია ინფორმაციის შექმნასა და გამოყენებაზე (ცოდნა). თუ ამოსავალი წერტილი ცოდნაა - თეორია, და არა მოტხოვნილება დააკმაყოფილებენ პრაქტიკულ სურვილებს, მხოლოდ მაშინ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ცოდნა ხდება ახალი საზოგადოების ნიშანი. ამას გარდა, ახლა ჩვენ ვსაუბრობთ არა “თეთრი საყელოების” გაზრდილ რაოდენობაზე და ინფორმაციის ზრდაზე, არამედ აქ საუბარია საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ ფუნდამენტურ პრინციპებზე.

მიუხედავად ამისა, არც თუ ისე დიდი სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ საჭიროა გარკვეული ხარისხით მაინც განისაზღვროს, თუ რა იგულისხმება თეორიული ცოდნის ქვეშ (Kumar, 1978, გვ 219-230 ). თეორია წარმოადგენს აბსტრაქტულ, საზოგადო უფლებების, კანონების და ოპერაციების ერთობლიობას, თეორიულ ნაწილში შესაძლოა მიღწეულ იქნეს თანხმობა, რომელიც წინ სწევს თეორიას, განსაკუთრებით სამეცნიერო სფეროში; კოდიფიცირება თეორიის ტექსტებში შეისწავლება მომავალი პრაქტიკოსების მიერ, რომლებიც მას გამოიყენებენ თავიანთ საქმიანობაში. ეს პრინციპი სავსებით ბუნებრივია, რომ შეიძლება ჩაითვალოს არა მხოლოდ დაკვირვებისა და განვითარების პროექტის ნაწილად, რომლებთაც აქვთ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ინოვაციებისთვის, არამედ როგორც სრულიად ჩართული ისეთ სფეროში, როგორცაა არქიტექტურა, პროექტირება, მშენებლობა და ასევე ტანსაცმლის დიზაინი.

არსებობენ ანალიტიკოსები, რომლებიც მზად არიან “გაზარდონ” თეორიული ცოდნის მნიშვნელობა და გააკეთონ დასკვნები, როგორც საზოგადოების არსებობის დამადასტურებელი, დაფუძნებული ცოდნაზე. აქ მაგალითისთვის კარგი იქნება თუ მივმართავთ კანონმდებლობის შესწავლას, სოციალური უზრუნველყოფის საფუძვლებს, “თეთრი საყელოების ” რაოდენობის ბუღალტრულ აღრიცხვას: ზოგიერთისთვის ეს ემსახურება თანამედროვე საზოგადოებაში პრიორიტეტების ცოდნის მაგალითს. და მართლაც, შეიძლება იმის მტკიცება, რომ უმაღლესი განალება მიზანმიმართულია თეორიული ცოდნის გადაცემაზე. ბოლოს და ბოლოს დიდ ბრიტანეთში უკვე საერთო აზრია, რომ სწრაფი გადასვლა მასობრივ უმაღლეს განათლებაზე (დაახლოებით, 30% თითო შესაბამის განვითარებად ჯგუფში) იყო განსაზღვრული გარკვეული რაოდენობის ადამიანების მოთხოვნილებებით, რომლებიც მზად იყვნენ ემუშავათ “ცოდნის საზოგადოებაში”. მსგავსი ტიპის გადაცემადი ცოდნა, უეჭველად, წარმოადგენს კოდიფიცირებულ, აბსტრაგირებულს პრაქტიკული გამოყენებისგან და ასევე განზოგადებისკენ მიდრეკილს, თუმცა ისინი

პრინციპულად განსხვავდებიან თეორიული ცოდნისგან, ისეთ სფეროში, როგორცაა ქიმია და ფიზიკა.

ნიკო შტერნი (1994) ამ თვალსაზრისით ზრდის თეორიული ცოდნის არეალს, პოსტულირებით, რომ ჩვენ უკვე ვიმყოფებით “ცოდნის საზოგადოებაში”; ის ამტკიცებს, რომ ცოდნა - მთავარი შემადგენელია ჩვენი ცხოვრების. რასაც არ უნდა ვაკეთებდეთ ჩვენ - აღმოვაჩინოთ ახალ ტექნოლოგიებს, ვაწარმოებთ პროდუქციას ყოველდღიური მოხმარებისთვის, თუ საკუთარი ცხოვრებაზე ვფიქრობთ - ჩვენ მივმართავთ თეორიულ ცოდნას, უამრავი დაგროვებული გამოცდილების გამოყენებით, რომლებიც დაგვეხარებიან გავერკვეთ, თუ სად ვიმყოფებით რეალურად?

ჩვენ საკმაოდ ბევრი ვისაუბრეთ თეორიულ ცოდნაზე, მაგრამ ეს შეიძლება სასარგებლო იყოს, რამდენადაც შტერნი წინ წამოსწევს ისეთ თემებს, რომლებიც ეხება ენტონი გიდენსის სოციალურ-თეორიულ მუშაობას. შერი გვთავაზობს ცოდნის განვითარებისა სამსაფეხურიან მოდელს:

1. ძლიერი ცოდნა (ცოდნის განმანათლებლობის იდეა, რომელიც აუცილებელია გაგებისთვის )
2. პროდუქტიული (ცნობიერებაში გამოყენებული)
3. ეფექტური (მჭიდროდ დაკავშირებული წამოებასთან და შემცველი, მაგალითად, განსაკუთრებული წვეულებები და გავლენის მომხდენი ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაზე).
4. ბოლო მეოთხე საფეხური ახლოსაა გიდენსთან, როცა ის ხაზს უსვამს ცხოვრების რეფლექსურობის ინტენსიფიცირებას “გვიან მოდერნში”. გიდენსი განსაკუთრებულ მნიშვნელობას უთმობს იმას, რომ მთელი ისტორია მოდერნისა - ესაა ისტორია ადამიანების თანდათანობითი განთავისუფლებისა ბუნების კანონებისგან და საზოგადოების შემზღვეველი ფორმებისგან, როცა ადამიანი მოქმედებდა ისე, როგორც ბედმა განუსაზღვრა, ეს ისტორია არის სვლა იმისკენ, რომ ცალკეული ადამიანები და ხალხთა ჯგუფები არჩევანს საკუთარი ინდივიდუალური, თუ კოლექტიური ბედის შესახებ “გაცნობიერებული განუსაზღვრელობის” პირობებში აკეთებენ. უფრო კონკრეტულად, სამყარო განიხილება არა როგორც რაღაც შეუცვლელი, არამედ პირიქით, ის ექვემდებარება ცვლილებებს და დამოკიდებულია ადამიანების გადაწყვეტილებებზე. ამ პირად და კოლექტიური გადაწყვეტილების წინამძღვარს წარმოადგენს საკუთარი თავის და კოლექტივის წინაშე საკითხის დაყენება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეფლექსურობა, რომელიც არ შეიძლება მივიღოთ ისე, როგორც საკუთარი თავის წინა პლანზე დაყენება. პირიქით, ის ვარაუდობს ღიაობას იდეების, ინფორმაციის და თეორიების მიმართ, რომლებიც მომდინარეობენ სხვადასხვა სფეროებიდან, ისინი გადაიხედებიან, შეფასდებიან საზოგადოების მიერ და იმათ საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება.

აქ მთავრია, რომ “პოსტრადიციული” (Giddens, 1994) საზოგადოება, რომელიც ხასიათდება მისი ცალკეული წარმომადგენლების და ინსტიტუტების ინტენსიფიცირებული რეფლექსურობით, აგებულია ინფორმაციაზე (ცოდნაზე). რა თქმა უნდა ამ ცოდნის ნაწილს აქვს ლოკალური, ან კერძო მნიშვნელობა (მაგალითად, ვიღაცის ბიოგრაფია, ან გაყიდვების დეტალური ჩანაწერი), თუმცა ძირითადად ეს ცოდნა აბსტრაქტულია, მიღებული ელექტრონული მედიისა და სხვა საშუალებებისგან, პირველ რიგში საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან. თუ დავეთანხმებით გიდენსის არგუმენტს, რომ ჩვენ უკვე ვცხოვრობთ

მაღალი მოდერნის ეპოქაში, რომელშიც როგორც არასდროს, რეფლექტურობა თამაშობს მნიშვნელოვან როლს, მაშინ ნათელია, რომ საჭიროა დავეთანხმოთ იმასაც, რომ ინფორმაციას და ცოდნას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა თანამედროვე ცხოვრებაში. არჩევანის სამყარო, როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიურის, ეყენება დაწვრილებითი და მრავალფეროვანი ინფორმაციის მიღწევასა და წარმოებას. თუ გიდენსის კვალს მივყვებით მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ინტენსიფიცირებული რეფლექტურობის ეპოქაში, რომელზედაც დაყდნობით ჩვენ ვქმნით მატერიალურ და სოციალურ პირობებს ჩვენი ცხოვრებისა, მაშინ უნდა დავეთანხმოთ იმასაც, რომ ეს ყველაფერი მოითხოვს ურთულეს და განვითარებულ ინფორმაციულ გარემოს. შესაძლოა ეს არაა ზუსტად ის თეორიული ცოდნა, რომელზეც საუბრობდა დენიელ ბელი, მაგრამ რამდენადაც ის აბსტრაქტული და კოდიფიცირებულია, ის შეიძლება ჩართული იყოს ამ საკმაოდ ვრცელ კატეგორიაში.

მუხედავად ამისა, არსებობს მიზეზები, რომლებიც ჩვენ გვაეჭვებენ, რომ ახალი ინფორმაციული საზოგადოება საჭიროებს ამ თვალსაზრისით აღწერას. თავად ენტონი გიდენსი არ აკეთებს ამას. ხაზს უსვამს რა, რომ “ინტენსიფიცირებული რეფლექტურობის სამყარო - ესაა გონიერი ხალხის სამყარო” ( Giddens 1994 გვ 7), ის მაინც არაა განწყობილი, რომ ეს სამყარო წარმოადგინოს, როგორც რაღაც, გრძელვადიანი ტენდენციების გარკვეული გაგრძელება. დღეს ცხოვრება რეალურად ინფორმაციულად უფრო მრავალფეროვანია, მაგრამ ეს არაა საკმარისი იმ დასკვნის გამოსტანად, რომ ჩვენახალი ტიპის საზოგადოებაში ვცხოვრობთ.

გარდა ამისა გიდენსს ეჭვი შეაქვს თეორიული ცოდნის სიახლეებში. 1981 წელს მან აღნიშნა, რომ “თეორიული ცოდნის ” ახლებურ განსზღვრებაში არაფერი არ არის სპეციფიკური, სინამდვილეში ტექნიკის რაციონალურობა წარმოადგენს პირველად ფაქტორს, რომელმაც ინდუსტრიალიზმი წინამორბედი ცხოვერების სტილისგანთავიდან ბოლომდე განასხვავა “ (Giddens, 1989, გვ 262). თუ ასეა, ჩვენ კვლავ აღმოვჩნდებით ადრინდელი პრობლემის წიანში: როგორ განვსაზღვროთ სიახლე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომელშიც თეორიული ცოდნა პრივილეგირებული ფაქტორი გახდა?

ეს გაღიზიანება გიდენსისა სვამს მთავრ კითხვას: რას გულისხმობენ ანალიტიკოსები თეორიული ცოდნის ქვეშ? როგორც მოყვანილი ციტატიდან ჟღერს, გიდენსი გრძნობს, რომ სოციოლოგიის კლასიკოსის მაქს ვებერის კონცეფციისთვის, განსაკუთრებით ფორმალური რაციონალურობისთვის, რომელიც მიზანმიმართული მოქმედების საფუძველში დევს (და უფრო ნათლად ბიუროკრატიულ სტრუქტურებში ჩნდება), საკმარისია ერთი განსაზღვრება. მასში შედის აბსტრაქტული და კოდიფიცირებული პრინციპები, უფლებები და განსაზღვრებები (მთელი ბიუროკრატიული მანქანა), და ის ვარაუდობს, რომ ჯგუფის წევრები უნდა ფლობდნენ აბსტრაქტულ ცოდნას, (იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს ბიუროკრატიული მანქანა). თეორიული ცოდნის ამ გაგებაში არის მხოლოდ ცოდნა ბიუროკრატიული უფლებებისა და პროცედურების შესახებ. თუ ასეა, რა არის აქ ახალი? ასეთ შემთხვევაში ცოდნის როლი პის- ში იმ ტენდენციების გაგრძელება და დაჩქარებაა, რომლებმაც განსაზღვრეს ინდუსტრიალიზმი და ჩვენ კვლავ ПИО - ში არსებული სიახლეებისადმი კითხვის წინაშე ვდგავართ.

საჭიროა უფრო სიღრმისეულად განვიხილოთ თეორიული ცოდნის გაგების უზუსტობები. ერთი საკითხია, თუ თეორიული ცოდნის პრიორიტეტი გულისხმობს ბუნებრივი-მეცნიერული პრინციპების ცოდნას (წყლის დუდილის წერტილი, მაგალითად), რომლებიც კოდიფიცირებულია ტექსტებში. და სხვა საქმეა, თუ თეორიული ცოდნა საკუთარ თავში მოიაზრებს ჰიპოთეზურ მოდელებს, ისეთებს, როგორიცაა კლასობრივი მიკუთვნება და

განათლების მიღების შესაძლებლობა. შესაძლოა თეორიული ცოდნის ეს სხვაობა მხოლოდ რაოდენობაში მდგომარეობდეს, ვინაიდან არსებითი განსხვავება მათ შორის გამორიცხულია. თუ თეორიული ცოდნა გაგებულია, როგორც ექსპერტული ცოდნის განსაკუთრებული მდგომარეობა მომსახურების სისტემების მართვაში (წყალგაყვანილობის სისტემები, ნაგვის გადამუშავება, სატელეფონო ხაზი), რომლებიც ამ საქმიანობაზე მუდმივი მონიტორინგის შედეგად, მუდმივად რეორგანიზებული ნორმებით რეალიზდებიან (გარემომცველი სინამდვილის დაბინძურება და ა.შ), მაშინ ჩვენ საქმე რაღაც სხვასთან გვაქვს. და ისევ სრულიად სხვა, როცა თეორიული ცოდნა გაგებულია, როგორც ტენდენცია ინდივიდების და ინსტიტუტების რეფლექსური განვითარებისადმი, რომლის საფუძველზეც სამომავლო ქმედებები ფორმირდება. და ბოლოს, ჩვენ დაგვჭირდება თეორიული ცოდნის სხვა დეფინიცია, თუ ჩვენ მას - რაც ხშირად კეთდება - სერტიფიცირებული განათლების გავრცელების მასშტაბებით განვსაზღვრავთ. მიდგომების ასეთი მრავალფეროვნების გამო სასურველია გამოვლინდეს დაკვირვებულობა და არ დათანხმება იმაზე, რომ თეორიული ცოდნა მოქმედებს კრიტერიუმებით, რომელთა დახმარებით შესაძლოა ინფორმაციული საზოგადოება განისაზღვროს, თუმცა თეორიის პრიორიტეტულობა ბოლო დროის ისტორიას მკაფიოდ ახასიათებს.

## დასკვნა

რამდენიმე წლის უკან დანიელ ბელმა დაიწყო ტერმინი “პოსტინდუსტრიალიზმის” შეცვლა ტერმინით “ინფორმაციული საზოგადოება”. თუმცა ამას არაფერი შეუცვლია მის ანალიზში - მისი “ინფორმაციული საზოგადოება”, ყველა მისი მახასიათებლით, იგივეა, რაც “პოსტინდუსტრიალიზმი საზოგადოება”. ამ თავში ჩვენ განვიხილეთ მისი კონცეფცია და დავასკვნით, რომ ის არის გაკოტრებული.

უდავოა, ინფორმაციამ და ცოდნამ - როგორც ყველა ტექნოლოგიურმა სისტემამ, რომელიც “ტექნოლოგიური აფეთქების” თანმდევაა, - რაოდენობრივ მიმართებაში მნიშვნელოვანი გავრცელება ჰპოვეს. რთული არაა იმაზე დათანხმებაც, რომ მათ დაიწყეს მნიშვნელოვანი როლის თამაში თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანის შრომით საქმიანობაში. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვერ ვნახეთ ვერც ერთი დამაჯერებელი მტკიცებულება იმისა, რომ რომ ეს ყველაფერი, წინამორბედისგან მკვეთრად განსხვავებულ, ახალი ტიპის საზოგადოების წარმოშობას ნიშნავს. თუ ეს კრიტიკა მართებულია, მაშინ ყველანაირი საუბარი იმის შესახებ, რომ ინფორმაციული სფეროს განვითარება ნიშნავს “პოსტინდუსტრიალიზმის” დადგომას, არ უნდა იქცევდეს ყურადღებას.

ამ თავში ნაჩვენებია იყო, რომ ბელის მიხედვით, საზოგადოების დაყოფა სხვადასხვა სფეროებად და შემდეგ ეკონომიკისა - საქმიანობის სხვადასხვა სექტორებად - უახლესი დაკვირვებებით განიცდის მარცხს. ზრდა და განვითარება ყველგან: მომსახურების სექტორში, “თეთრსაყელოებიან” სამსახურში, პროფესიონალთა რიგებში და ყველა ეს ადამიანები დაკავშირებულნი არიან ინფორმაციის გამოყენებასთან, შენახვასთან და დამუშავებასთან, მაგრამ როგორც ვნახეთ არ არის არანაირი საფუძველი იმისა, რომ მოვახდინოთ ამ ექსპანსიის ინტერპრეტირება უფრო მეტ სიმდიდრესთან მიმართებაში, რომელიც გადადის “საქონელწარმოების” სექტორიდან მომხმარებლის სექტორზე. პირიქით, მომსახურების სექტორი გაფართოვდა იმით, რომ უზრუნველყოს მდგრადი, ურთიერთდაკავშირებული ეკონომიკა (და, რა თქმა უნდა, უფრო ფართო პოლიტიკური და კულტურული კავშირები). არ

არსებობს ახალი პოსტინდუსტრიული საზოგადოება: საქმიანობის ზრდა მომსახურებს სფეროში და შესაბამისი განვითარება წინა პლანზე წევს რეალობის პასიურ საარჩევნო უფლებას წარსულთან მიმართებაში.

იმავე მიზეზით დიდი ნაწილი ინფორმაციისა და ინფორმაციული მუშაკების გაზრდილი რაოდენობა, რომლებმაც აღფრთოვანებაში ისე მოყავთ ზოგიერთი ენთუზიასტები, რომ რომ ისინი ამ ფაქტს აწმყოსგან და მომავლის მნიშვნელოვან განმასხვავებლად მიიჩნევენ, არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ახალი სოციალური სისტემის ნიშნები. კრიშან კუმარი პირდაპირ ამბობს, რომ “ერთია დაეთანხმოდ ინფორმაციული ტექნოლოგიების როლის ზრდას, იმასაც კი, რომ მოხდა ინფორმაციული რევოლუცია და სხვაა - ახალი ტიპის საზოგადოების ახალ სამრეწველო რევოლუციას, ახალ ეპოქას დათანხმდე” (Kumar, 1992, გვ 52)

ბელის აზრი თეორიულ ცოდნაზე, ანალიტიკურია და შესაძლოა, მნიშვნელოვნად დაშორებული რაოდენობრივი ფაქტორებისგან, რომლებზეც მიდიოდა საუბარი, ფლობს დიდ მიმზიდველობას, ვიდრე მისი პოსტინდუსტრიალიზმის განსაზღვრება, როგორც შემობრუნება მომსახურების წარმოებისგან. რამდენადაც თეორიული ცოდნა გულისხმობს ხარისხიან ცვლილებებს, რათა მიიღოს სერიოზული შედეგები საზოგადოებრივი სფეროს დაგეგმვისა და კონტროლისათვის, ეს იდეა იპყრობს ყველას ყურადღებას, ვინც დაინტერესებულია სოციალური ცვლილებებით და ინფორმაციის მნიშვნელობით (ცოდნა) თანამედროვე დროში. ინტუიტურად მკითხველი გრძნობს ბელის სიმართლეს, თუმცა ეს აზრი ბოლომდე განუვითარებელი დარჩა დააშკარად მეორე ადგილს იკავებს, პირველ ადგილს შრომის საკითხებს უთმობს. ბელის ნაშრომებში ის განხილულია ისე ზოგადად, რომ მისი გამოყენება შეიძლებოდა ანალიზისთვის, ან უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ისინი სიახლესთან და მის ფენომენტან დაკავშირებით ეჭვს იწვევენ. მიუხედავად ამისა, ჩემი აზრით, ეს ყველაზე საინტერესო და დამაჯერებელი არგუმენტია იმის სასარგებლოდ, რომ ინფორმაციულ ეპოქაში ვცხოვრობთ.

რა თქმა უნდა, ფაქტია: ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც გაიზარდა ინფორმაციის რაოდენობა და მასთან დაკავშირებული საქმიანობაც, რომელიც წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. რა კუთხითაც არ უნდა შევხედოთ ამ პრობლემას, ინფორმაციის როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა. სრულიად ნათელია, რომ სოციოლოგები ცდილობენ ცვლილებები გათვალონ და ახსნან. და აქ ჩვენ მივდივართ დასკვნამდე, რომ ის არ შეიძლება ბელის “პოსტინდუსტრიულ” ტერმინებში იყოს ინტერპრეტირებული. მას არ გამოსდის მყარად დააფუძნოს პოსტინდუსტრიული ინფორმაციული საზოგადოებისა სახელი. და თუ ჩვენ გვინდა გავიგოთ ინფორმაციის შინაარსი და მისი გავრცელების არეალი, მაშინ ჩვენ პასუხის მოძიება სადმე სხვაგან მოგვიწევს.



## შევდივართ რა ინფორმაციულ ერაში.

მეოცე საუკუნის დასასრულს სულ უფრო ცხადი ხდება, რომ ჩვენ შევდივართ ინფორმაციულ ერაში. ეს უზრალოდ არ ნიშნავს კომუნიკაციის ადრე არსებული წესებისა თუ ხერხების განვითარებას, არამედ ცხოვრებაში იწვევს სოციალური და ტექნოლოგიური ორგანიზაციის ახალი პრინციპების გამოვლენას, რომლებიც შეიძლება შევადაროთ ბოლო ორი საუკუნის დიდ გარდაქმნას. ეს გარდაქმნები იყო ცვლილებები, რომლებმაც შეამზადეს სამრეწველო რევოლუცია, მექანიკური ტექნოლოგიების გავრცელება და რამაც ადამიანებს მოგვცა უზარმაზარი ძალაუფლება ბუნებაზე და რამაც გარკვეული ხარისხით საფრთხის ქვეშ დააყენა თავად ბუნების არსებობა. მაგრამ ამ გარდაქმნებმა აგრეთვე მოიტანეს დროისა და სივრცის ახალი გაგება, კავშირის ახალი საშუალებების დახმარებით ერთმანეთისაგან ძალიან დაშორებული ხალხები და ქვეყნები ადრე არნახული მასშტაბებით უახლოვდებიან ერთმანეთს, თუმცა ისინი ხშირად იქცეოდნენ კონფლიქტების წყაროებადაც.

ახალი ინფორმაციული ერა ემყარება არა მექანიკურ ტექნიკას, არამედ "ინტელექტუალურ ტექნოლოგიას", რაც ჩვენ საშუალებას გვაძლევს ვილაპარაკოთ საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და სოციალური ცვლილებების ახალ პრინციპზე. ეს აგრეთვე სათავეში აყენებს თეორიულ ცოდნას როგორც განახლების წყაროს და ცვლის ტექნიკური პროგრესის ბუნებას. იგი თანაბრად მნიშვნელოვანს ხდის გლობალიზაციის იდეას, კონცეფციას, რომელიც საფუძველშივე განსხვავდება საერთაშორისო ეკონომიკის შესახებ არსებული თანამედროვე შეხედულებებისაგან და თითოეული სახელმწიფოს წინაშე აყენებს საკვებით სხვა ამოცანებს.

მეოცე საუკუნეში მადომინირებული მდგომარეობა ეკავათ ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობას. ტრანსპორტი – უწინარეს ყოვლისა ესაა კერძო ავტომობილები, აგრეთვე ავტობუსები, სატვირთო მანქანები და თვითმფრინავები (საწყის ეტაპზე, სტადიაზე ის აპარატებიც რომლებმაც უზრუნველყვეს კოსმოსში გაფრენა, ადამიანის მთვარეზე დაჯდომა და დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე კოსმოსური სადგურების შექმნა), რომლებიც უზრუნველყოფენ ცალკეულ ადამიანთა და საქონელთა დიდ მობილურობას, რითაც ხელს უწყობენ ადამიანთა განსახლებას უფრო ფართო და დიდ ტერიტორიებზე, აგრეთვე (მაშინ, როდესაც მას ხელს არ უშლის საგზაო საცობები) ადამიანებს აძლევენ გადაადგილების დიდ თავისუფლებას. სატვირთო ავტომანქანები ქმნიან დამატებით შესაძლებლობას რკინიგზებით ტვირთების დიდი მასის სულ სხვადასხვა მიმართულებებით გადატანისა. თვითმფრინავები, დასაწყისში ხრახნიანი, შემდეგ რეაქტივლები, სერავენ კონტინენტებსა და ოკიანეებს ხუთ, მაქსიმუმ თხუთმეტ საათში, ხოლო ბგერის სიჩქარით მოძრავ მაგ. "კონკორდს" სულ სამი საათი ესაჭიროება, რათა გადასეროს ატლანტიის ოკეანე.

კავშირგაბმულობა – ესაა რადიო, კინო, ტელევიზია და თანამგზავრული კავშირი. მოკლე ტალღაზე არსებული რადიო ადამიანებს საშუალებას აძლევს გააგზავნოს და მიიღოს ცნობები დედამიწის ნებისმიერი წერტილიდან. კინემატოგრაფი საერთო კულტურის წარმოშობის საფუძველს ქმნის, რამეთუ ადამიანები ერთსა და იმავე ფილმებს უყურებენ. ისტორიაში, პირველად ტელევიზიამ შექმნა ის, რასაც ძველი ბერძნები ოდესღაც – ოიკუმენას – ერთიან მსოფლიოს თუ საზოგადოებას უწოდებენ. მსოფლიოს ანუ ის, რასაც ფუტუროლოგმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების

სფეროში მ. მაკლუენმა უწოდა "გლობალური სოფელი". დღეს ახალი ამბების დიდი ნაწილი აღიქმება ვიზუალურად "რეალური დროის" რეჟიმში ე.ი. მოვლენის ხდომილების მომენტში: იქნება ეს ომი ერაყთან სპარსეთის ყურეში, ტერორისტული აქტი მომწამვლელი გაზის გამოყენებით ტოკიოს მეტროში თუ კონფლიქტი ბოსნიაში. ეს ინფორმაცია გადაიცემა ზემალაღი სიხშირის დიაპაზონში, კოაკსიელური კაბელებით, ზოგჯერ ტელეფონთა სადგურებით და სულ უფრო ხშირად კავშირგაბმულობის თანამგზავრული საშუალებების გამოყენებით.

რას წარმოადგენს მაშინ ინფორმაციული ერა? ჩვენ ახლა ვიმყოფებით მხოლოდ მის დასაწყისში, მაგრამ წარსული გამოცდილებიდან ვიცით, რომ შეუძლებელია სრულად ვიწინასწარმეტყველოთ მისგან გამომდინარე შედეგები და ის სფეროები, რომლებსაც შეეხება ცვლილებები, რამეთუ მეცნიერები მუდმივად ამუშავებენ ახალ ტექნოლოგიებს, ხოლო მეწარმეები – პოულობენ მათი გამოყენების ახალ წესებსა და ხერხებს. დავიწყეთ ინფორმაციული ერის განმსაზღვრელი თვისებებისა და მის საფუძველში მდებარე პრინციპების განხილვით.

ახალ პირობებში კომპიუტერებისა და ტელეკომუნიკაციების წამყვანი როლი ზედაპირზე დევს. პირველი კომპიუტერი შექმნა ჩ. ბებიჯმა (1792-1871), კემბრიჯის უნივერსიტეტის მათემატიკის პროფესორმა, რომელმაც ააგო გამომთვლელი მანქანა, რაც არსებითად მექანიკურ საანგარიშოს წარმოადგენდა. ელექტრონზე გადაყვანამ – რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს განახორციელეს აიტკინომ ჰარვარდში და ეკერტმა და მოჩლიმ პენსილვანიის ინსტიტუტში – საშუალება მისცა მათ მიეღწიათ გამოთვლებისას არნახული სიჩქარეებისადმი, რომლებიც აუცილებელი იყო ბალისტიკური და სხვა სახის რაკეტებისათვის გათვლების ჩასატარებლად და განსაკუთრებით ბირთვული იარაღის შექმნისას.

კომპიუტერის "გულად" იქცა ახალი "გამტარი" მოწყობილობა. ადრეულ სტადიებზე ელექტრული სიგნალების გადასაცემად გამოიყენებოდა ვაკუუმის მილები (როგორც ელექტრულ ნათურებში), მაგრამ ისინი ძალიან ჩქარა იწვებოდნენ, იმის გამო, რომ მათი ინტენსიური ექსპლუატაციისას გამოიყოფოდა სითბო. ის დეტალი, რომელმაც რეალურად აქცია ელექტრონული კომპიუტერის შექმნა, გახდა ტრანზისტორი, რაც წარმოადგენს პატარა "გადამრთავებს", რომელიც სწრაფად ცვლის რა "ჩრთვა-გამორთვის" რეჟიმებს, ელექტრობას ემსახურება როგორც "ნახევარგამტარი". საჭირო იყო მხოლოდ "ერთი ნაბიჯის" გაკეთება ტრანზისტორიდან მიკროჩიპამდე, რომელზეც ლითონგრაფიული წესით შეიძლება განლაგებულ იქნას ასეულ ათასობით ასეთი ასეთი ტრანზისტორი.

ინფორმაციული ერის უმნიშვნელოვანეს გამოგონებად იქცა მიკროპროცესორი. ზუსტად ისევე როგორც ელექტრო მოტორები ინდუსტრიული საუკუნის ნებისმიერი მანქანის განუყოფელ ნაწილად იქცა, მიკროპროცესორიც მანქანათა მთავარი ელემენტია პოსტინდუსტრიულ პერიოდში. დღეს უკვე მიკროპროცესორი მინიატურული ფორმით ყველა იმ გამომთვლელი, მმართველი და დამამახსოვრებელი მანქანების თუ მოწყობილობების გული გახდა, რომლებიც ჩვენს განკარგულებაშია დღეს. მისი დახმარებით შეგვიძლია შევინახოთ ინფორმაციის მილიონობით ბაითები, ვაწარმოოთ მისი სწრაფი მიება, ვმართოთ ნებისმიერი მანქანა, აგრეთვე გამოვიყენოთ იგი გადამრთველი მოწყობილობების სახით კავშირგაბმულობის ყველა სისტემაში.

ყოველივე ამის ფუნდამენტს კი თეორიული ცოდნა წარმოადგენს. კომპიუტერის მუშაობის საფუძველში, როგორც ციფრულ მოწყობილობებში, დევს

"ჩართვა/გამორთვის" – პრინციპი ე.ი. თვლის ორობითი სისტემა. ტრადიციული მეთოდოლოგია კი ეფუძნება ათეულობითის პრინციპს (ჯგუფები ათი ერთეულით – 10, 20, 30 და ა.შ.). სადაც თავად ცნება "ათეულობითი" მომდინარეობს ლათინური სიტყვისაგან *deci*, რაც ნიშნავს "ათს". მაგრამ კომპიუტერში ოპერაციები ემორჩილებიან ბულის ალგებრის კანონებს, რომლებიც ემყარებიან ჯ. ბულის (1815-1864) სიმბოლურ ლოგიკას და ბინარულ სისტემას.

კომპიუტერის ფიზიკური მოდელის დამუშავება დაკავშირებულია მყარი სხეულების ფიზიკის შექმნასთან, კერძოდ კი დანიელი ფიზიკოსის ნილს ბორის (1885-1962) გამოკვლევებთან და ატომის მისეულ მოდელთან, რომელშიც ატომის ბირთვის ირგვლივ თავ-თავიანთ ორბიტებზე მოძრაობენ ელექტრონები, აგრეთვე ფ. ბლოხის შრომებთან, რომელიც იკვლრვს გაზის მყარ მდგომარეობამდე კონდენსირების დროს ენერგეტიკულ დონეთა კვანტურ ამალღებებს, რისთვისაც მან 1952 წელს ნობელის პრემია მიიღო.

თანამედროვე ტელეკომუნიკაციები დამყარებული იყო ორ პრინციპზე. ერთ-ერთი მათგანი შემუშავებული იყო კ. შენონის მიერ. მან გამოითვალა კავშირის არხთა გამშვები უნარი იმის მიხედვით თუ როგორია სიხშირეთა სარტყლის სიფართე (არსებობს სხვადასხვა სიფართის სარტყლები ტელეფონებისათვის, რადიოსა და ტელევიზიისათვის და ა.შ.) და "სიგნალი-ხმაური" დამოკიდებულებების სიდიდე (ე.ი. ინფორმაციის მატარებელი სიგნალის სიცხადე-გარკვეულობა, დაბრკოლებათა ან სიგნალთა შორის ინტერვალთა ფონზეც კი), რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ბაითთა რაოდენობის გაანგარიშება, ანუ მაუწყებლობის ერთეულთა გაანგარიშება დროის განსაზღვრულ ერთეულში. ეს საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მონაცემთა გადაცემის განსხვავებულ სისტემაში გამტარიანობა.

მეორე პრინციპი – ესაა ერთ არხში, კავშირის სხვადასხვა სისტემების "გაერთიანება" (მეტყველება, ტექსტი, გამოსახულება და მონაცემები). მეტყველება რომელიც გადაიცემა ტელეფონის არხებით, "ანალოგიურ" სიგნალს წარმოადგენს, რამეთუ ბგერა – ეს ტალღაა. გამოსახულება სატელევიზიო ეკრანზე ტელე-ფაქსიმილური გადაცემებისას, ან მონაცემები კომპიუტერში – წარმოადგენენ "ციფრულ" სიგნალებს – ე.ი. დისკრეტულ სიდიდეთა "იმპულსებს". ძირითად ტექნოლოგიურ ამოცანას წარმოადგენს ყველა "ანალოგიური" სიგნალების ციფრულ სიგნალებად გარდაქმნა, რათა უზრუნველყოთ მათი შეთავსებადობა და გადაცემა საერთო არხით. ანალოგიურად კომპაქტ-დისკზე ჩაწერისას მუსიკა ან ბგერა "ციფრულად" გარდაიქმნებიან, რაც ზრდის მათი გადაცემის სიზუსტეს და საშუალებას იძლევა გავაძლიეროთ კონტროლი ხმის ინჟინრის მხრიდან.

ასეთია ტექნოლოგიის მიერ განსაზღვრული და თეორიული ცოდნიდან გამომდინარე ინფორმაციული ერის – ეპოქის საფუძვლები.

### რეკოლუცია მასალათა სფეროში

ისტორიულად ბუნებრივი რესურსები ნებისმიერი საზოგადოების არსებობის საფუძველი იყო. ინგლისი – ესაა ქვანახშირებზე "მწოლი" კუნძული. როდესაც გამოიგონეს ორთქლის ტუმბოები, გაჩნდა შახტებიდან წყლის ადვილად ამოქაჩვის შესაძლებლობა და მემახტებმაც შეძლეს უფრო ღრმა ფენებში შეღწევა. ქვანახშირისა და რკინის არსებობისას შეიძლება გამოვადნოთ ფოლადი, სწორედ ამით აისახება

ინგლისის პირველობა ინდუსტრიული რევოლუციის დასაწყისში. იმპერიალიზმი – ესაა სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული ბუნებრივი რესურსებით ქვეყნის, აგრეთვე, გასაღების ბაზრებით უზრუნველყოფაზე.

იაპონია, რომელსაც 1930-იან წლებში დასჭირდა ქვანახშირი, შეიჭრა მანჯურიაში არა მხოლოდ იმისთვის, რათა შეექმნა საიმედო თავდაცვითი ხაზი საბჭოთა კავშირის საზღვართან, არამედ უფრო იმისთვის, რათა უზრუნველყო ქვანახშირის შეუფერხებელი მიწოდება.

დღეს საქმის ვითარება იცვლება. რევოლუცია მასალათა სფეროში, რომელიც ეფუძნება კვანტური მექანიკის გაგებას, ნიშნავს, რომ ადამიანის დამოკიდებულება ბუნებრივ რესურსებზე გაქრა და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, შეიძლება ვაწარმოოთ აბსოლუტურად ახალი პროდუქტები, რომლებიც ემყარებიან მასალათა მხოლოდ თვისებას, რომლებიც ჩვენთვის აუცილებელია. ამგვარად, დღეს აღარავის უნდა უბრალოდ ტყვია, კალა, თუთია ან ფოლადი, არამედ მათი განსაზღვრული თვისებები – პლასტიურობა, გამტარობა, გაწელვადობა, რისთვისაც მუშავდება შენადნობები ან ხელოვნური მასალები.

ძირითადი პრინციპი – ესაა ტექნოლოგიური ცვლილება – ცვლა. ჩვენ უკვე აღარ გვეშინია, რომ რომელიმე საჭირო მასალების მარაგი ამოიწურება. მუდამ ძალგვიძს მოვიძიოთ მისი სუბსტიტუტი (შემცვლელი), მართალია, შესაბამისი ფასით. ოცზე მეტი წლის წინათ რომის კლუბმა საყოველთაოდ გაითქვა სახელი. იწინასწარმეტყველა რა სასარგებლო წიაღისეულის სწრაფად ამოწურვის საშიშროება. მათმა პროგნოზებმა მთელს მსოფლიოში მიიპყრეს ყურადღება, მას შემდეგ რაც 1973 წელს გამწვავდა ნავთობის კრიზისი. მართალია იგი წარმოიშვა, არა ნავთობის საბადოთა ამოწურვასთან, არამედ ოპეკის მოქმედებებთან დაკავშირებით; მიუხედავად ამისა "დეფიციტის იდეამ" დაიპყრო საზოგადოების წარმოსახვა და შეაშინა იგი.

სინამდვილეში პირველი რესურსი, რომლის უკმარისობაც იწინასწარმეტყველეს რომის კლუბის წევრებმა, აღმოჩნდა სპილენძი, რაც გახდა კიდევ მოთხოვნის ზრდისა და მისი მარაგების შემცირების შედეგი. მთელმა ნავთობის კომპანიებმა, გამოიყენეს რა მათ ხელთ არსებული დიდძალი კაპიტალი, შეიძინეს სპილენძის შახტები მოკლე პერიოდში სპილენძის ფასი გაორმაგდა, მაგრამ უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში ბაზარი აღმოჩნდა საქონლით გაჯერებული და ფასები სპილენძზე დაეცა.

თუ ვინმე დასვამს კითხვას სად არის მსოფლიოში განლაგებული სპილენძის ყველაზე დიდი მარაგები, ეკონომიკური გეოგრაფიის მცოდნე ადამიანებმა შეიძლება დაასახელონ ჩილე ან ზიმბაბვე მაგრამ ყველაზე მეტი მარაგი შეიძლება აღმოვაჩინოთ ნუი-იორკის ფუნდამენტის ქვეშ. ესაა – ტონობით სპილენძის მავთულ-გამტარები-სადენები, რომელიც სწრაფად იდევნება ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელებით, რომლებიც მინისებრი ძაფებისგან მზადდება. მისი წარმოება იაფი ჯდება და მოითხოვს ენერჯის ნაკლებ დანახარჯებს, ხოლო გამტარუნარიანობის მიხედვით იგი ორჯერ აღემატება სპილენძის სადენებს. მსოფლიოს ყველა სატელეკომუნიკაციო კომპანიები სპილენძის კაბელებს ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელებით ცვლიან. ამიტომაცაა რომ სპილენძი დღეს მეტად აღარ ითვლება სტრატეგიულ საქონლად.

აღარაა ასევე სტრატეგიული მრავალი სხვა მეტალიც და მინერალური ნედლეულის სხვა სახეებიც. მეორე მსოფლიო ომის დროს არსებობდა სპილენძის, კაუჩუკის, კალის და თუთიის კარტელები, რომლებიც აკონსტრუირებდნენ სტრატეგიულ ბუნებრივ რესურსებს. დღეს ასეთი კარტელები აღარ არსებობენ, რაც

უშუალოდ დაკავშირებულია მასალა-სუბსტიტების გამოვლენასთან. ერთადერთი შემორჩენილი სტრატეგიული კარტელი ესაა ნავთობის და იგიც მისი სიიაფის გამო. თუმცა მას აქვს ალტერნატივა: ესენია თერმული წყლები, ბირთვული და მზის ენერჯია, ბუნებრივი გაზი, მეთანოლი, ეთანოლი და ქვანახშირის შლამიც კი. მაგრამ ყველა ესენი ენერჯიის უფრო ძლიერი წყაროებია და სწორედ თავისი დაბალი ფასითა და დიდი მოცულობით ნავთობი ჯერ კიდევ ინარჩუნებს სტრატეგიულ მნიშვნელობას.

მასალების სფეროში გაჩაღებულ რევოლუციას შეიძლება მოყვეს მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური შედეგები: პირველ რიგში აფრიკული ქვეყნები, სადაც განვითარებულია ეკონომიკის მხოლოდ პირველადი სექტორი, შეიძლება სერიოზულ პრობლემებს შეეჯახონ. აფრიკა ხომ უწინარეს ყოვლისა ცხოვრობს აგრალური სექტორის, მეტალებისა და მინერალური ნედლეულის ექსპორტის ხარჯზე. მაგრამ სასოფლო სამეურნეო პროდუქცია, პირველ რიგში კი მარცვლეული ჭარბად იწარმოება მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით ევროპაში, აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში. მრავალ ქვეყანას ადვილად შეუძლია უზრუნველყოს თავისი თავი მარცვლეულით, თუ ისინი შეძლებენ თავიანთი პოლიტიკური სისტემისა და განაწილების პრინციპების სრულყოფას. სასუქების გამოყენებამ და "მწვანე რევოლუციამ" მსოფლიო კვების პროდუქტებით თვითუზრუნველყოფას მიუახლოვა. იგივე ვითარებას აქვს ადგილი ლითონებისა და მინერალური ნედლეულის შემთხვევაში, იქნება ეს სპილენძი თუ კაუჩუკი, მათი ტექნოლოგიების შეცვლა ნიშნავს ბუნებრივი რესურსების ექსპორტის ბაზრის შემცირებას. 1990 წელს აფრიკის ქვეყნებიდან, რომლებიც განლაგებულნი არიან საჰარის უდაბნოს სამხრეთით, ექსპორტმა შეადგინა იმის ნახევარი რაც ის ღირდა 1980 წელს, ხოლო თუ მისგან გამოვრიცხავთ ნიგერიიდან მიღებულ ნავთობს, მაშინ მისი ღირებულების მაჩვენებელი ერთმესამედზე დავა. თუ აფრიკაში ვერ განვითარდება ეკონომიკის პოსტინდუსტრიული სექტორები, მაშინ მას სერიოზული პრობლემები ემუქრება. ამ საფრთხისაგან დასაცავად მას ესაჭიროება პოლიტიკური სტაბილურობა და განათლების ფართოდ გავრცელება – პირობები, რომლებმაც დასავლეთს საშუალება მისცა მიედწია აყვავებისათვის.

#### გ ლ ო ბ ა ლ ი ზ ა ც ი ა

ორი საუკუნის განმავლობაში არსებობდა საერთაშორისო ეკონომიკა, რომელშიც რამდენიმე ქვეყანა შეადგენდა მის “ბირთვს”, ხოლო დანარჩენი – “პერიფერიას”. პირველს განეკუთვნებოდნენ ძირითადად დიდი ბრიტანეთი, აშშ, და რამდენადმე გერმანია და დასავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანა. მოწინავე ქვეყნებზე მოდიოდა სამრეწველო ნაწარმოების ლომის წილი. პერიფერიის ქვეყნები აწოდებდნენ ნედლეულს, მათგან ნაწილი ემიგრაციისა და იაფი მუშახელის წყარო იყო, ხოლო დანარჩენი კი მზა პროდუქციის გასაღების ბაზარს წარმოადგენდა. არსებობდა შრომის დანაწილება, რომლის საფუძველშიც ეკონომიკური თეორიის თანახმად იდო (მართალია, შეცვლილი პოლიტიკური გარემოებების ზეწოლით) “შედარებითი-შეფარდებითი სარგებლობა” ე.ი. ქვეყნები აწარმოებდნენ იმას, რის წარმოებაც შეეძლოთ ყველაზე საუკეთესო სახით, იმის შესაბამისად თუ როგორი რესურსები, ტექნოლოგიები და კვალიფიცირებული სამუშაო ძალა ჰქონდათ. დიდი ბრიტანეთი ლიდერობდა საფეიქრო მრეწველობაში, ფოლადის დნობასა, გემთმშენებლობასა და მანქანათმშენებლობაში; გერმანია პირველობდა ელექტრო საქონლის და ქიმიური მრეწველობაში, აშშ კი პირველი იყო ავტომობილების წარმოებაში, სოფლის

მეურნეობაში და ქვანახშირის მოპოვებაში. ქვეყნები ისწრაფვოდნენ საერთაშორისო ეკონომიკაში “შელწევას” “ტექნოლოგიური კიბის” საფეხურებზე ამაღლებით. ასე მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონიამ მთელი ძალებით დაიწყო გემთმშენებლობისა და ფოლადსახმელი მრეწველობის განვითარება, შესაბამისად დიდმა ბრიტანეთმაც დაკარგა თავისი პირველობა ამ დარგებში, პირველ რიგში კი ფოლადის წარმოებაში.

გლობალური ეკონომიკა საფუძველშივე განსხვავდება საერთაშორისოსაგან. ესაა მეურნეობის ერთიანი სისტემა, კაპიტალის, ვალუტისა და საქონლის ბაზართა გაერთიანება, აგრეთვე იმის ზრდა, რასაც დ. ბელი უწოდებს ”გამორიშორებას” საერთაშორისო ეკონომიკა, უექველია აგრძელებს არსებობას. მსხვილი კომპანიები და მრავალეროვნული კორპორაციები ჯერაც კი აგრძელებენ განმგებლობასა და დომინირებას უპირატესად ერთ ქვეყანაში და ფასდებიან როგორც მოცემული ქვეყნის ეკონომიკის ბასტიონი, მიუხედავად იმისა, რომ მთელ მსოფლიოში ჰყიდიან თავიანთ საქონელს. მაგრამ ისინიც გარდაუვლად ერთვებიან გლობალურ ეკონომიკაში. “შელი” (ნავთობი), “იუნილევერი” (საკვები პროდუქტები და ცხიმები), “ფილიპსი” (ელექტრონიკა) წარმოადგენენ ჰოლანდიურ კომპანიებს, მაგრამ ამავე დროს გარკვეული დონით ინგლისურ კომპანიებსაც. “სანდოზი” (სამკურნალო პრეპარატები) და “ნესტლე” (საკვები პროდუქტები) – შვეიცარიულ ფირმებს, მაგრამ მათი სამრეწველო და სავაჭრო სიმძლავრეები არსებობენ მსოფლიოს მრავალ სხვა ქვეყანაში. “ტოიოტა” და “ნისანი”, “სონი” და “მაცუსიტა” – იაპონური ფირმებია, კომპანიებია, რომლებიც თანდათანობით ერთვებიან გლობალურ ეკონომიკაში არა მხოლოდ ყიდვა – გაყიდვის, არამედ წარმოების სფეროშიც.

ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება საფონდო და სავალუტო ბირჟაზე. საზღვრები ქვეყნებს შორის პრაქტიკულად გაქრა, კაპიტალი მიიწევს იქ, სადაც (პოლიტიკური სტაბილურობის პირობებში არსებობისას) არის ყველაზე დიდი უკუგება ჩადებული ინვესტიციებისაგან ან დამატებითი ღირებულებისაგან. ვალუტის გაცვლის კურსები (თუ გამოვრიცხავთ ცოტა განსხვავებებებს არბიტრაჟის დროს) ერთნაირია მსოფლიოს ყველა ბაზარზე. ქვეყნები სულ უფრო კარგავენ კონტროლს თავიანთ ეროვნულ ვალუტებზე, გაცვლითი კურსები კი სულ უფრო ნაკლებადაა დამოკიდებული პარიტეტულ მსყიდველობით უნარებზე და სულ უფრო მეტად დაკავშირებულია სპეკულაციური მოლოდინების ცვალებადობაზე სთან ან კურსთა შორის განსხვავებების თამაშზე. საბანკო ოპერაციები პრაქტიკულად ელვისებურად სრულდება. სულ ოცდაოთხი საათი დასჭირდათ კუვეიტის ბანკებს, როცა მას თავს ერაცი დაესხა, რათა თავიანთი კაპიტალის უდიდესი ნაწილი საზღვარგარეთ განეთავსებინა. კომპიუტერული და საინფორმაციო ქსელები გამტარნი და არბიტრები ხდებიან კაპიტალისა და ვალუტის გლობალურ ბაზარზე.

ამგვარად, ჩვენ ვაკვირდებით კაპიტალის, ვალუტის, საქონლის და სულ უფრო და უფრო წარმოების “გლობალიზაციას”. მივადწევთ კი გლობალურ საზოგადოებას? ჩაცმისა და გართობის ჩვენი სტილი და გემოვნება უპირატესად ყალიბდება ტელევიზიის მეშვეობით. სულ ცოტა ხნის წინ მრავალ ქვეყანაში, მაგ., დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, იტალიასა და იაპონიაში, იგი რჩებოდა სახელმწიფო მონოპოლიების კონტროლის ქვეშ. დღეს ყველანი ძალა დაკარგულებად ითვლებიან. გაჩნდნენ არა მხოლოდ დამოუკიდებელი ტელევიზიები, არამედ ისეთი გლობალური ტელევიზიებიც კი როგორებიცაა “სი-ენ-ენ” –ი, რუპერტ მერდოკის თანამგზავრული

ტელევიზია და სხვები. ყველაზე მნიშვნელოვანი სოციოლოგიური საკითხი დღეს არის საკითხი იმის შესახებ შევძლებთ თუ არ ეროვნული კულტურის გადარჩენას, რომელიც ერთ ქვეყანას მეორისაგან განასხვავებს. ინგლისური ენა მთავარი ხდება საერთაშორისო ურთიერთობებში. შევინარჩუნებთ თუ არა ჩვენ ეროვნულ თავისებურებებს და ერთგულებას სპორტისა და აქტიური დასვენების სფეროში? კეტბურთით, გოლფით, სათხილამურო სპორტით გატაცებულნი არიან ყველაზე განსხვავებულ ქვეყნებშიც კი. ევროპულმა ფეხბურთმა პოპულარობა მოიპოვა იაპონიასა და აშშ –ც კი. ტანსაცმელისა და სამზარეულოს სტილი უკვე დიდი ხანია საყოველთაო გახდა. მხოლოდ ჩემს მშობლიურ ქალაქ კემბრიჯში – შენიშნავს დ. ბელი,- (50-ათასი მოსახლით), რომელიც ბოსტონის ახლოსაა განლაგებული, არის იაპონური, ჩინური, ტაოსელური, ვიეტნამური, კორეული, ინდური, მექსიკური, ბრაზილიური, პერუანული, ფრანგული, იტალიური, რუსული, ახლო აღმოსავლური და ებრაული რესტორნები, რომ არაფერი არ ვთქვათ ბისტროებზე, სადაც ყიდიან ზღვის პროდუქტებს და სტეიკებს.

გართობამაც კი გლობალური ხასიათი მიიღო. ამერიკული სერიალი “დალასი” პოპულარულია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, მხოლოდ იაპონიის გარდა, და ეს იმიტომ, რომ იაპონელი ბიზნესმენები განსხვავდებიან სხვებისაგან. ინდოეთი წელიწადში აწარმოებს ყველაზე მეტ მხატვრულ ფილმს, ვიდრე მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა, მაგრამ ისინი ადაპტირებადია მხოლოდ ადგილობრივ გემოვნებასთან. ვითვალისწინებთ რა ინდური საშუალო კლასის სწრაფ ზრდას, შეუერთდება თუ არა ინდოეთი “გლობალურ საზოგადოებას”?

ამასთან დაკავშირებით წარმოიშვება სერიოზული კითხვები კულტურასა და ცხოვრების სტილის შესახებ. ხომ არ გავხდებით ჩვენ ერთგვაროვანი-ერთნაირები? რა მოუვა ასეთ შემთხვევაში ეროვნულ ტრადიციებს რომელელებსაც ენაში აქვთ ფესვები გადგმული და ისტორიულ კულტურას?

### ტექნოლოგიური კიბე

პოსტინდუსტრიული ანუ ინფორმაციული ერა დგება ტექნოლოგიური ცვლილება-გარდაქმნათა გრძელი ჯაჭვის შედეგად. ყველა ქვეყანა არ არის მზად მასში შესასვლელად, დღეს მხოლოდ რამდენიმეა ასეთი. თუ ჩვენ პოსტინდუსტრიული საზოგადოებას განსაზღვრავთ, როგორც ისეთს, სადაც მოხდა სამრეწველო წარმოებიდან მომსახურეობის სფეროში გადაადგილება, მაშინ აღმოჩნდება, რომ დიდი ბრიტანეთი, თითქმის მთელი დასავლეთი ევროპა, აშშ-ი და იაპონია უკვე შევიდნენ პოსტინდუსტრიულ საუკუნეში.

მაგრამ თუ ჩვენ ინფორმაციულ საზოგადოებას განვსაზღვრავთ, როგორც ისეთს, რომელშიც არსებობს მეცნიერული პოტენციალი და მეცნიერული ცოდნის საბოლოო პროდუქტად ე.წ. "მაღალი ტექნოლოგიები" და "ტრანსფორმირების" უნარ-შესაძლებლობა, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ შეერთებული შტატები და იაპონია პასუხობენ მოცემულ პირობებს. კიდევ რამდენ ქვეყანას შეუძლია მათი დონის მიღწევა? არსებობს ე.წ. “ტექნოლოგიური კიბე”, რომლის შესაბამისად შეიძლება შევადგინოთ ცვლილებების, გადაადგილებების სქემა ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკისათვის, იგი მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

- 1)სარესურსო ბაზა: სოფლის მეურნეობა და სამთომომპოვებელი მრეწველობა,
- 2)მსუბუქი მრეწველობა: საფეიქრო, ფეხსაცმლის და ა.შ.

3)მძიმე მრეწველობა: მეტალურგია, გემთმშენებლობა, ავტომობილების წარმოება, მანქანათმშენებლობა;

4) “მაღალი ტექნოლოგიები”: გამზომი ხელსაწყოები, ოპტიკა, მიკროელექტრონიკა, კომპიუტერები, ტელეკომუნიკაციები;

5) მომავლის მეცნიერულ მიღწევებზე დაფუძნებული დარგები: ბიოტექნოლოგია, მასალათმცოდნეობა, კოსმოსური კვლევები და ა.შ.

ტექნოლოგიურ კიბეზე მაღლა სვლის შესანიშნავი მაგალითია იაპონია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მან მსუბუქ მრეწველობაში დაკავებული პოზიციის გამოისობით მოიცვა თითქმის ყველა ქვეყანა; შრომის ანაზღაურების შედარებით დაბალი ფასების მეშვეობით შეძლო ფოლადის დნობისა და გემთმშენებლობის ისე განვითარება, რომ პირველობა ჩამოართვა დიდ ბრიტანეთს ორივე სფეროში. მაგრამ ისინი მრეწველობის ისეთი დარგები იყო, რომლებიც ენერჯის დიდ დანახარჯებს მოითხოვდა და 1973 წლის ენერგეტიკული (ნავთობის) კრიზისის შემდეგ იაპონიამ ორიენტაცია შეიცვალა და მთელი ძალისხმევა წარმართა ოპტიკურ (ოპტიკაზე), მიკროელექტრონულ (მიკროელექტრონიკა) და საავტომობილო მრეწველობაზე, იყენებდა და იყენებს რა უახლოეს საწარმოო ტექნოლოგიებს.

არსებობს ტექნოლოგიურ კიბეზე აღმასვლის პრინციპულად სამი პირობა ნებისმიერი ქვეყნისათვის:

1)პოლიტიკური სტაბილურობა, რომელიც საშუალებას აძლევს ინვესტორებს იმედი იქონიონ მოგების მიღებაზე;

2)მრეწველთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და კვალიფიცირებულ მუშათა დიდი კლასის არსებობა, რომლებსაც შეუძლიათ საქონლის წარმოება;

3)შესაბამისი- შესატყვისი განათლების სისტემის არსებობა განათლებული სპეციალისტების მოსამზადებლად, რომლებიც დაუფლებულნი იქნებიან ახალი ტექნოლოგიების გამოყენებისათვის აუცილებელ ცოდნას.

მრავალი წლის წინ რ. დორმა შენიშნა, რომ იაპონია და ლათინური ამერიკის ქვეყნების უმრავლესობა (ბრაზილია, არგენტინა და ა.შ.)შევიდნენ მსოფლიო ეკონომიკაში დაახლოებით ერთსა და იმავე დროს – ასოცდახუთი წლის წინათ. მაგრამ, როგორც ვხედავთ, იაპონია იფურჩქნება, ლათინური ამერიკა კი ჩამორჩება განვითარებაში ძირითადად იმიტომ, რომ მმართველი ელიტა, განსაკუთრებით სამხედროები და მსხვილი მიწათმფლობელთა კლასი, ეწინააღმდეგებოდა მოდერნიზაციას და განაგრძობდა გლეხების ექსპლუატაციას.

1917 წლის რევოლუციის შემდეგ საბჭოთა კავშირმა მიმართა ფორსირებულ ინდუსტრიალიზაციას, მაგრამ ეს გააკეთა “საკომანდო ეკონომიკის “ მეთოდებით, და პროცესები წარმატებით მიდიოდა მანამ, სანამ მრეწველობის წინაშე იდგა საკმაოდ მარტივი ამოცანები. მომდევნო წლებში კი მან სერიოზული მარცხი განიცადა, რადგან არ იყო გამოყენებული საბაზრო მექანიზმები და “მოგების გაანგარიშების” სისტემა, რომლებიც გვეხმარებიან განვსაზღვროთ რესურსთა გამოყენების ეფექტურობის ხარისხი. რუსეთი დღეს ფლობს უზარმაზარ ბუნებრივ რესურსებს (ნავთობის და გაზის მარაგები ყველაზე დიდია მსოფლიოში და აღემატებიან კიდევ ახლო აღმოსავლეთის ქვეყანათა მარაგებს, მაგრამ მათ დამუშავება ძვირი ჯდება გამოყენებული ტექნოლოგიების დაბალი დონის გამო) , აგრეთვე განათლებული ინჟინერების და ტექნიკოსების უზარმაზარ რაოდენობას, თუ იგი მიაღწევს შინაგან სტაბილურობას, თავიდან აიცილებს დამანგრეველ ეთნიკურ და სამოქალაქო ომებს, მაშინ რუსეთი მზად



იქნება შევიდეს პოსტინდუსტრიულ ერაში უფრო ადრე, ვიდრე ნებისმიერი სხვა ქვეყანა.

ევროპას განსაკუთრებით გერმანიას, აქვს მძლავრი სამრეწველო ბაზა, მგრამ მიჯაჭვული რჩება მასზე დიდი კაპიტალდაბანდებებისა და ხელფასების მაღალი დონის გამო. მაგალითად, გერმანული ექსპორტის საფუძვლად რჩება მანქანათმშენებლობის, ავტომშენებლობის, სამრეწველო ელექტრონიკისა და მომიჯნავე დარგების პროდუქცია. “მაღალი ტექნოლოგიების” უმნიშვნელოვანეს სფეროებში, როგორებიცაა მაგალითად ნახევარგამტარები მსოფლიო წარმოების 85%-ზე მეტი აშშ-სა და იაპონიაზე მოდის.

შენარჩუნდება თუ არა XXI-ე საუკუნეში ასეთი ვითარება? ეს დამოკიდებულია საბოლოო პროდუქტის ბუნებასა და მის “სასიცოცხლო ციკლზე”. დარგებში, სადაც წარმოება სტანდარტიზირებულია, სადაც ადვილად შეიძლება მისი მოწესრიგება, ხოლო გასავალის დონე ხელფასებზე ხდება გადამწყვეტი ფაქტორი, მსგავსი პროდუქციის წარმოების შესაძლებლობების მქონე ქვეყნებს შეუძლიათ შეეცადონ შესაბამისი ნიშის დაკავებას. რაც შეეხება საფეიქრო მრეწველობას, მაშინ ჯერ იაპონიამ გამოდევნა აშშ, ხოლო შემდეგ თავად იქნა გამოდევნილი ჰონკონგის მიერ. კორეამ შეძლო იაპონიისათვის წაერთმია პოზიციები, რომელიც მას ეკავა ფოლადსამსხმელი მრეწველობასა და მშენებლობაში. დღეს იგი ისწრაფვის შეავიწროოს იაპონია ელექტრონიკის სფეროში და ავტომობილების წარმოებაში, რისკენაც, სხვათაშორის ისწრაფვის აზიის მრავალი ქვეყანაც, კერძოდ ჩინეთი.

როგორ შეუძლიათ თავის დაცვა განვითარებულ ქვეყნებს? ერთ-ერთ საშუალებას ქვეყნის შიგნით შრომის ნაყოფიერების გაზრდა წარმოებაზე დანახარჯების შემცირების მიზნით. ასეთია ტრადიციული მეთოდი, რომელსაც აქვს შეზღუდულობებიც. მეორე გზაა – მრეწველობის სპეციალიზებულ სეგმენტების განვითარებაზე გადასვლა, რომელთაც ძალუძთ პროდუქციის წარმოება მაღალი დამატებითი ღირებულებით. სწორედ ასეთი რამ მოხდა საფეიქრო მრეწველობაში, სადაც იაპონიამ და იტალიამ იმისთვის, რათა მიეღწიათ წარმატებისათვის ბაზარზე, დაიწყეს ზემოდური მაღალხარისხოვანი ტანსაცმლის (მაგ, ისეი მიიაკის, ჰანა მორაეს და ა.შ.) გამოშვების ათვისება.

რათა უკეთ გამოვარკვიოთ თუ როგორია ამ ქვეყნების მდგომარეობა მსოფლიო ეკონომიკაში და როგორ იცვლება საბაზრო სიტუაცია, აუცილებელია მოვხაზოთ სხვადასხვა სახელმწიფოებში ტექნოლოგიურ ცვლილებათა “ტრაექტორია”.

1. ცვლილებათა (გარდაქმნათა) ძირითადი მიმართულებები:
2. ტრანსფორმირებადი განვითარებადი
3. ტექნოლოგიები მყიფი ტექნოლოგიები
4. ტელეფონი ფიჭური ტელეფონები
5. კომპიუტერი ქსელური კომპიუტერები
6. ნიშები ლოკალური გამოთვლითი ქსელების დაწესებულებების პროგრამული გამოყენებები

ადამიანთა უმრავლესობა სიტყვა “ტექნოლოგიას” იყენებს ისე, რომ არ აზუსტებს ტექნოლოგიის ტიპს და მის კავშირს სხვა მასზე დამოკიდებულ ტექნოლოგიებს შორის. მაგრამ ამ განსხვავებათა გაგების გარეშე ჩვენ არ შეგვიძლია გრაფიკულად გამოვსახოთ ცვლილება-გარდაქმნათა ხასიათი და ბაზრების განსხვავებული ტიპები.

დ. ბელი ერთმანეთისაგან განასხვავებს “განვითარებად ტექნოლოგიებს” “ტრანსფორმირებად ტექნოლოგიებს” და “ნიშებს”. ტელეფონი ესაა ტრანსფორმირებადი ტექნოლოგია. იგი მთლიანად ცვლის ადამიანთა შორის ურთიერთობებს, “ამსხვრევს” დროს და სივრცის გაგებას, შესაძლებლებელს ხდის რა ორმხრივ უშუალო სასაუბრო კავშირს. ფიჭური ტელეფონი- ესაა განვითარებადი ტექნოლოგია. ტრადიციული ტელეფონისაგან განსხვავებით იგი უსადენოა და ხელს უწყობს დიდ მობილობას, აადვილებს კავშირს ადამიანებს შორის. უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე სატელეფონო კავშირის სფეროში მთავარი ფიჭური ტელეფონის ბაზარი იყო. ნიშა – განსაკუთრებული სფეროა; დაწესებულების ATC საშუალებას გვაძლევს შევქმნათ კომპანიის ჩარჩოებში სატელეფონო კავშირის სრულფასოვანი შინაგანი სისტემა კომპანიის, უნივერსიტეტის ან ორგანიზაციის შიგნით საერთო ნომრის გამოყენების გზით, (ჩვეულებრივ სამი ან ოთხნიშნიანი) ნებისმიერი ტელეფონისათვის. სხვა სიტყვებით ესაა დამხმარე მოწყობილობა. ლ გ ქ – ლოკალური გამოთვლითი ქსელები – საშუალებას გვაძლევს გეოგრაფიული რაიონის შიგნით ორგანიზება გავუკეთოთ კოლექტიურ შეღწევას-შესვლას.

ზემოთქმულის მიზანი არის არა უბრალოდ რომელიმე ტექნოლოგიის განსხვავებული ასპექტების განსაზღვრა, არამედ ასევე მისი განვითარების კვალდაკვალ მიყლის შესაძლებლობა და იმის ჩვენება, რომ ნიშები დროულად გარდაიქმნიებიან კონკურენტებისაგან საკუთარი ბაზრის დაცვის წესად თუ საშუალებად, თავად ნიშის სპეციფიკური ბუნებისა გამო.

იგივე ხდება კომპიუტერებშიც. კომპიუტერი იყო ტრანსფორმირებადი ტექნოლოგია. კომპიუტერული ქსელები კი წარმოადგენენ მის განვითარებას, რამდენადაც ისინი კომპიუტერებს აკავშირებს ერთმანეთს შორის. ისეთი რაღაცეების პროგრამული გამოყენება, როგორცაა მაგალითად ელექტრონული ფინანსური უწყისები (ანგარიშსწორების) – ესაა ნიში. ამგვარად, კვლავ იკვეთება ცვლილებათა მარშრუტი.

## 2. განვითარების წესები (ხერხები) თუ საშუალებები.

გამოგონება	სიახლის შემოტანა	გავრცელება
მეცნიერული აღმოჩენების საფუძველზე	ორგანიზაციულად ადაპტირებული	განისაზღვრება ბაზრით

ტექნოლოგიის განვითარება ხდება ყველაზე განსხვავებული წესითა და გზებით. აქ ასევე აუცილებელია გამოვავლინოთ განსხვავება პროცესებს შორის, რათა ვწვდეთ ცვლილება – გარდაქმნათა კანონზომიერებას. ტექნოლოგიები იქმნება მეცნიერული აღმოჩენების ნიადაგზე. ეს ნიშნავს, რომ ისინი ნაწილობრივ ითვლებიან განსაზღვრული პროგრამის ლოგიკურ დასრულებად. თუმცა ხშირად ახალი ტექნოლოგიების შექმნის თაობაზე მიღებული ცნობების შემდეგ ადამიანები ფიქრობენ რომ მას იქვე მოეძებნება პრაქტიკული გამოყენება. მაგრამ ცვლილება-გარდაქმნები არ ხდება მსგავსი წესით-სახით, გამოგონება უნდა ჩაეწეროს პროდუქციის საერთო სტრუქტურაში, აუცილებელია აგრეთვე ვიპოვოთ ცალკეული ორგანიზაციების მიერ მისი გამოყენებების წესი-საშუალება. სწორედ ეს შეადგენს სიახლის საზრისს, რომელიც

განსაზღვრება ორგანიზაციის ან კომპანიის უნარით გამოიყენოს გამოგონება. ამ დროს გავრცელება - სავსებით სხვა პროცესია. გავრცელება, იქნება ეს ტელევიზორები, ვიდეომაგნიტოფონები თუ პლემიერები, დამოკიდებულია მარკეტინგზე - ანუ იმ ზომების მთელ რიგზე, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რათა დავარწმუნოთ ადამიანები - ბიზნესმენები და კერძო პირები - შეისყიდონ აღნიშნული პროდუქტები. ადამიანებს ხშირად ემინიათ შეიძინონ უცნობი საქონელი, როგორც ამას ჰქონდა ადგილი კომპიუტერებთან მიმართებაში. ისინი უნდა დარწმუნდნენ, რომ ნაწარმი (ნაკეთობა) "მეგობრულ დამოკიდებულებაში იქნება მომხმარებელთან". დგება საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი სახის საქონელს შეცვლის ახალი ნაწარმი და არის თუ არა იგი საჭირო მომხმარებლისათვის. ეს კი დამოკიდებულია გამოყენების სარგებლიანობასა და ფასზე.

3. ტექნოლოგიის სასიცოცხლო ციკლი:

ნაწარმის შემუშავება,	ნაწარმის შექმნა,	გავრცელება,
I ეფუძნება მეცნიერულ აღმოჩენებს,	I სტანდარტიზაციას,	I მარკეტინგის ჩატარების ხელოვნებას,
II მეწარმის როლს,	II ხელფასებზე გასავლის დონეს,	II დროით ჩარჩოებს.

როგორც ნაწარმი-ნაკეთობის შემუშავება ისე მისი სასიცოცხლო ციკლი იყოფა ნათლად განსაზღვრულ ეტაპებად. ბუნებრივია ამათგან პირველია გამოგონება. ინდუსტრიულ საუკუნეში ახალი პროდუქტები იქმნებოდა მათ მიერ, ვისაც დ. ბელი "ტალანტის მქონე მექანიკოსებს" ეძახის - ე.ი. ადამიანების მიერ, რომლებიც მუშაობდნენ შემოწმება (ცდა) სინჯი-შეცდომების მეთოდებით და ძალიან ცოტა იცოდნენ მეცნიერების კანონების შესახებ. მაგალითად თ. ედისონმა, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულის უდიდესმა გამომგონებელმა, ელექტრული ნათურის, ფონოგრაფის და კინემატოგრაფის შემქმნელმა, პრაქტიკულად არაფერი იცდა მაქსველისა და ფარადეის მიერ ელექტრული მაგნიტური ველის გამოკვლევების შესახებ. მაგრამ ინფორმაციულ ერაში გამოგონება წარმოადგენს თეორიული ცოდნის განვითარების პროგრამის გაგრძელებას. მაგალითად ტრანზისტორი და მიკროჩიპი მყარი სხეულების ფიზიკის გამოყენების შედეგებია.

დროის მართვა

საქონლის მწარმოებელ, ანუ სამრეწველო საზოგადოებაში ბიზნესისათვის საკვანძო პრობლემა იყო სასაქონლო მარაგების მართვა. თუ ისინი ძალიან დიდი იყო, კომპანიებს უხდებოდათ წარმოებული გასავლების "ავანსად" გაცემა და ჭარბად წარმოებული პროდუქციის "შენახვის ვადის" ღირებულებების გადახდაც. თუ მარაგები უმნიშვნელო იყო, მაშინ მოთხოვნის წარმოშვებისას ფირმა ზარალდებოდა იმის გამო, რომ მყიდველებს არ სურდათ მოცდა, ხოლო კონკურენტები ასწრებენ ანალოგიური საქონლის მიწოდებას. საქონლის მარაგის მართვა - ესაა მოგების მიღების გადამწყვეტი ფაქტორი.

ინფორმაციულ საზოგადოებაში ძირითადი პრობლემა კი ხდება დროის მართვა. ადამიანები ცხოვრობენ და საქმიანობენ დღე-ღამის რიტმის თანახმად, დღე-ღამეში კი მხოლოდ ოცდაათხი საათია. მთელს დედამიწაზე გადაჭიმულია დროის ზონები, რომლებიც მზის მოძრაობით განისაზღვრება. ტრადიციულად ადამიანთა უმრავლესობის ცხოვრება ემორჩილებოდა სასოფლო სამეურნეო სამუშაოთა რიტმს, ისინი დგებოდნენ მზის ამოსვლასთან ერთად და დასაძინებლად წვებოდნენ მზის ჩასვლისას. ხელოვნური განათების გამოგონებამ შეცვალა ჩვენი ცნებები დღისა და ღამის შესახებ. მთელს მსოფლიოში ინფორმაცია გადაეცემა, ხოლო ოპერაციები ტარდება "რეალურ დროში" – ეს მართლაც, რომ უცნაური სიტყვაა, თითქოს ადრე დრო რეალური არ იყო – რაც აღნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ინფორმაცია პრაქტიკულად წამიერად გადაეცემა, ვსაუბრობთ რა ტოკიოდან ბოსტონში ტელეფონით, ჩვენ ერთდროულად ვუსმენთ ერთმანეთს. ახლა გაჩნდა კიდევ "ვირტუალური რეალობა", ხოლო ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენ ვუხსნით სივრცეს საზღვრებს, ვათავისუფლებთ სივრცეს საზღვრებისაგან და შეგვიძლია "მოდელმკეთებელი მოწყობილობის" დახმარებით შევიდეთ სამგანზომილებიან სივრცეში და მასში გადავაადგილდეთ ისე, თითქოს ჩვენ ვმოძრაობთ ცაზე, ვსეირნობთ კოსმოსში. ან ვესტუმრებით კოსმოსურ სადგურებს ან გამოქვაბულებს ისე, თითქოს ჩვენ ნამდვილად ვიმყოფებით "იქ".

დროისა და სივრცის შესახებ წარმოდგენების მხვრევა, რომელთა შესაბამისად ჩვენ ორგანიზებას ვუკეთებთ რეალობას, – ესაა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი ინფორმაციული საზოგადოების მიმართულებით.

მაგრამ ყოველივე ეს პრაქტიკული პრობლემებისა და რეალური პროდუქტების მთელ რიგად ტრანსფორმირდება. თუ დაახლოებით ოცი წლის წინათ თქვენ გასურდათ ამა თუ იმ სადგურის მიერ ტრანსლირებული გადაცემა, მაშინ აუცილებელი იყო "დროზე" – დროულად მისვლა საყურებლად, სხვაგვარად თქვენ ვერ "იხილავდით", ანუ გააცდენდით მისი ნახვის შესაძლებლობას. ზუსტად ასევე თქვენ ვერ მიუსწრებდით თვითმფრინავს ან მატარებელს თუ დააგვიანებდით აეროპორტში ან ვაგზალზე მისვლას. მაგრამ ვიდეომანტიტოფონის გამოგონებასთან ერთად შესაძლებელი გახდა პროგრამის ჩაწერა და მისი ნახვა "ჩვენს" დროში ან, მუსიკალური ჩანაწერის აღება და მისი მოსმენა, როდესაც მოგვესურვება. ადრე ამისათვის აუცილებელი იყო კასეტის ან დისკის აღება, მისი მოთავსება დიდ ყუთში – კოლონკებით და მუსიკის მოსმენა იქ, სადაც მოთავსებულია ყუთი. დღეს კი პლეიერის/ფლეიერის მინიატურიზაციის წყალობით შეიძლება ვისიამოვნოთ მუსიკით – დავტკბეთ მუსიკით სადაც გვსურს და გვინდა. ამგვარად, სივრცისა და დროის რეორგანიზაციამ ადამიანს მასზე დიდი კონტროლის საშუალება მისცა.

მრავალი წლის წინათ, თუ ვინმეს სურდა თავისი ფულის მიღება აუცილებელი იყო ბანკში მისვლა, თანაც იმ საათზე, როდესაც ის ღია იყო და მისი ანგარიშიდან მოხსნა. ბანკომატების გამოგონებით შესაძლებელი გახდა ნაღდი ფულის მიღება ნებისმიერ ადგილას, სადაც კი არსებობს მსგავსი მანქანა, თუნდაც იგი ჩვენი სახლიდან ათასობით კილომეტრებით იყოს დაშორებული, ვინაიდან ყოველივე ამისათვის აუცილებელი ინფორმაცია ინახება ცენტრალიზებულად, ხოლო ოპერაცია ტარდება ელექტრონიკის დახმარებით.

სულ ახლახანს უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა ადამიანთა შორის კომუნიკაციის სფეროში – გაჩნდა ელექტრონული ფოსტა. ძველი საფოსტო სისტემა ვეღარ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ამავე დროს იგი მოითხოვს ადამიანური

შრომის გამოყენებას ფოსტის მოკრების, გადაზიდვის და მოტანისათვის. ფაქსმა და ტელეფონმა დააჩქარა კომუნიკაციის პროცესი. მაგრამ ვინმესთან ტელეფონით დაკავშირება ზოგჯერ ძნელია, ხოლო ხელნაწერი – ფაქსიმილური ცნობებისათვის – მაუწყებლობისათვის მოითხოვება სავსებით დამატებითი ქმედება – საჭიროა წერილის აღება და მისი მანქანაში ჩადება. კომპიუტერის დახმარებით კი ელექტრონული ფოსტა იგზავნება მარტივად და უშუალოდ.

ახალი სისტემა, რომელიც თავის თავში აერთიანებს კომპიუტერის, ხმისა და ტელეფონის გამოცნობის სისტემას, ქმნის "ვირტუალურ მდივანს". თქვენ ზიხართ რა ოფისში ან მანქანაში, პასუხობთ ტელეფონის ზარს, და ხმა გაუწყებთ, რომ როგორც ჩანს თქვენ გირეკავთ თქვენი კოლეგა. მაგრამ ხმა არ ეკუთვნის ადამიან-მდივანს, არამედ იგი არის მოწყობილობა, რომელსაც აშშ-ი უწოდებენ "უაილდფაიერ"-ს, რომლის დახმარებითაც თქვენ მიიღეთ კიდევ ეს ცნობა. ხოლო თუ თქვენ აუცილებლად გესაჭიროებათ ვინმეს პოვნა, ნახვა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოგზაურობთ "უაილდფაიერი" იღებს თქვენს ნაცვლად შეტყობინებას, რეკავს ტელეფონზე, ან იწერს შემომავალ ცნობებს – შეტყობინებებს და აგზავნის იმათთან, ვის შესახებაც თქვენ ამ მოწყობილობას დაავალეთ, რათა მათთან კავშირი დაამყარებინოთ. დ. ბელი იმეორებს ესაა არა ადამიანი მდივანი, არამედ მოწყობილობა, რომელიც დღეს მრავალი კომპანიის განკარგულებაშია, და რომელიც მოქმედებს ხმის გამოცნობის პრინციპის საფუძველზე და გათვალისწინებულია მსგავსი პრობლემების გადასაწყვეტად. ხმის გამოცნობის სისტემის გაუმჯობესება – გართულებასთან და შესაბამისად ისინი შეძლებენ მთელი რიგი სტანდარტული ბრძანებების შესრულებას. თქვენ შეგეძლებათ დარეკოთ სახლში და შეცვალოთ ტემპერატურის რეჟიმი ოთახებში, ჩართოთ ან გამორთოთ მიკროტალღოვანი ქურა და ა.შ.

ამით კი დროის მართვა და რეორგანიზაცია მთელი თავისი მრავალსახეობებით იქცევა ინფორმაციულ საზოგადოებაში ელექტრონული ხელსაწყოების გამოყენების ახალ სფეროდ.

აქ ბელი აკეთებს ჩემი აზრით საინტერესო შენიშვნას ინფორმაციის თაობაზე. ყურადღებას ამახვილებს ინფორმაციისადმი როგორც "საქონლისადმი" დამოკიდებულების პრობლემაზე.

ინფორმაცია ძირფესვიანად განსხვავდება სიკეთე-დოვლათთა სხვა სახეებისაგან: ისინი იხარჯებიან ან ცვდებიან ექსპლუატაციის პროცესში (როგორც მაგალითად ავტომობილები) მაგრამ ინფორმაციები ასეთი რამეებისაგან დაზღვეულნი არიან. იგი გარკვეული სახით მოქმედებს როგორც საზოგადოებრივი სიკეთე-დოვლათი, რამდენადაც როგორც ცოდნა ის არ იხარჯება და არ იცვითება. როგორი წესით შეიძლება შევაფასოთ ინფორმაცია და განვიხილოთ იგი როგორც ღირებულების წყარო? ეს პრობლემა მოექცა ნობელის პრემიის ლაურეატის ეკონომიკის დარგში კ. ეროუს (თუ აროუს?) გამოკვლევების ყურადღების ცენტრში. კვლევის შედეგები მან გადმოსცა ლექციებში "ინფორმაცია და მრეწველობის ორგანიზაცია", ქ. მილანში 1994 წლის 12 აპრილს. კერძოდ პროფესორმა კ. ეროუმ თქვა: "დაახლოებით თხუთმეტი წლის წინათ ჩემმა მეგობარმა, გამოჩენილმა სოციოლოგმა დ. ბელმა შემომთავაზა განმეხილა ღირებულების ინფორმაციული თეორია, რომელიც თანამედროვე ეკონომიკაში ითამაშებდა ისეთივე როლს, როგორც ღირებულების შრომითმა თეორიამ ითამაშა კლასიკურ კონცეფციაში. ვშიშობ, რომ ფუქსავატურად აღვიქვი თავის დროზე ეს წინადადება. მე ავუხსენი მას როგორც ეკონომისტმა – სხვა სფეროში მოღვაწე ადამიანთა

უპირატესობის გრძნობით, რომ ღირებულების შრომითი თეორია მოწოდებულია ახსნას ფასთა შეფარდებითობა და რომ ინფორმაცია, როგორადაც არ უნდა განვსაზღვრავდეთ მას, საეჭვოა შეასრულოს იგივე როლი. მართლაც არავინ არ ეწევა საქონელთა გაცვლას მათში განხორციელებული და ჩადებული ინფორმაციის პროპორციულად. მე ვსაუბრობდი იმის შესახებ, რომ სინამდვილეში მაღალი ინფორმაციული შინაარსის მქონე საქონელი უნდა იყოს ძალიან იაფი, რამდენადაც ინფორმაციის კვლავწარმოება შესაძლებელია მცირე დანახარჯებით, თვით მაშინაც კი თუ მისი წარმოების საწყისი დანახარჯები ძალიან მნიშვნელოვანია კი რომ ყოფილიყო, ნებისმიერმა ნეოკლასიკურმა ეკონომისტმაც კი იცის, რომ მნიშვნელოვანი სწორედ რომ უკიდურესი (ზღვრული) დანახარჯებია.

თითოეულ ჩემს კონკრეტულ პასუხში არაფერი არ იყო მცდარი და არასწორი, მაგრამ მე მხედველობიდან გავუშვი მთავარი პუნქტი დ. ბელის მსჯელობიდან. ფაქტები ეწინააღმდეგებიან ჩემს თვალსაზრისს. საოცარია, მაგრამ ინფორმაცია წარმოადგენს კომპიუტერული პროგრამული პროდუქტისა და სიკეთე-დოვლათთა ზოგი სხვა სახეების ღირებულების განსაზღვრის ერთადერთ პრინციპს. თუმცა ეს შემთხვევები განსაკუთრებულობებს მიეკუთვნებიან, მიუხედავად, ამისა, ინფორმაციის როლი შრომის ნაყოფიერებისა თუ მწარმოებლურობის სახით და ღირებულების წყაროს სახით სულ უფრო მეტად ვლინდება მრავალ ბაზარზე და ეკონომიკური ანალიზის სულ უფრო მნიშვნელოვანი კომპონენტები ხდება. მოცემულ ლექციაში მე მსურდა გამეერთიანებინა ორი კონცეფცია, რომელთაგან თითოეული უკვე ნაკვლევია ლიტერატურაში, თუმცა არადაამაკმაყოფილებელი სახით:

- 1) ინფორმაციის როგორც ეკონომიკური საქონლის როლი, და
- 2) კომპანიათა ინდივიდუალურობა როგორც ცოდნასა და სიმდიდრეზე უფლების გაცხადების, მოთხოვნის შუაგული – ცენტრი. Arrow K.J. Information and the Organisation of Industry // Rivista Internazionale Scienze Sociali. Occasional Paper, 1994)

### მასშტაბის პრობლემა

ყველაზე მნიშვნელოვანი, როგორც უკვე ავღნიშნე არის საკითხი საზოგადოებაში გავრცელებადი ღირებულებითი ორიენტირებისა და პოსტინდუსტრიული მსოფლიოს ახალი ტექნოლოგიური ინსტრუმენტების შესატყვისი სოციალური სტრუქტურების ძიების შესახებ. გარდა სტრუქტურული ჩარჩოებისა, რომელთა განსაზღვრასაც მე შევეცდები, არსებობს კიდევ ერთი არსებითი ცვლადი, რომელიც აუცილებელია მივიღოთ მხედველობაში – ესაა ცვლილებები მასშტაბში.

მასშტაბების ცვლა.

დღეს ხშირად გაიგონებთ, რომ ჩვენი ეპოქა-დრო – ესაა დაჩქარებულ გარდაქმნა – ცვლილებათა საუკუნე. [სწრაფ ცვლილებათა საუკუნე]. უნდა ვაღიარო: მე არ მესმის რას ნიშნავს ყოველივე ეს სინამდვილეში. თუ გავანალიზებთ მოცემულ კონცეფციას, მაშინ აღმოვაჩინებ, რომ მას არ აქვს საზღვრები და საზრისი. საუბარს ცვლილებებზე როგორც ასეთზე აზრი არ აქვს, რამეთუ რჩება კითხვა – ცვლილებები რისი და რაში? რისი ცვლილებები? ვთქვათ, რომ "ყველაფერი" იცვლება – საჭიროა ამან ნათელი მოჰფინოს სიტუაციას. ხოლო თუ ჩვენ ვბჭობთ უკვე ცვლილებათა ტემპების, ზრდისა და გაფართოების შესახებ, მაშინ თავად ეს სიტყვა გულისხმობს გაზომვის ერთეულის გამოყენებას. მაგრამ მაინც რა იზომება?

მიმდინარე ცვლილებების შესახებ განსაზღვრული წარმოდგენები შეიძლება მივიღოთ თუ გამოვიყენებთ მასშტაბის კონცეფციას. ამა თუ იმ ობიექტის მასშტაბის ცვლილება – ესაა კიდევ მისი ფორმის ცვლილებაც. თუ მეტაფორულად ვიტყვით, ჩვენ მივდივართ ჯერ კიდევ გალილეის მიერ ფორმულირებული კვადრატ-კუბის კანონთან: თუ თქვენ ორჯერ ზრდით საგნის ზომას, მაშინ თქვენ სამჯერ ზრდით მის მოცულობას. აქედან გამომდინარეობს საკითხი ფორმისა და პროპორციების შესახებ. ორმოცდაათათასიანი უნივერსიტეტი შეიძლება ისევე აგრძელებდეს იმავე სახელწოდების ტარებას, როგორც ოცდაათი წლის წინ, როდესაც მასში არ იყო ხუთი ათასზე მეტი სტუდენტი, მაგრამ რაოდენობრივი შემადგენლობის ცვლილება მოითხოვს ორგანიზაციის სტრუქტურის ცვლილებას. ეს აგრეთვე ეხება სოციალურ წარმონაქმნებსაც. ის რაც ნამდვილად იცვლება ინფორმაციული რევოლუციის შედეგად – ესაა ადამიანური საქმიანობის მასშტაბი. ვითვალისწინებთ რა კომუნიკაციის ბუნებას, "რეალურ დროში", ჩვენ პირველად ვქმნით ურთიერთდამოკიდებულ საერთაშორისო ეკონომიკას, რომლისთვისაც დამახასიათებელია დიდი არასტაბილურობა, თან ერთი ცვლილების სიდიდის შეცვლა, აგრეთვე შოკური რხევები ან ცალკეულ ელემენტთა აღშფოთებანი დაუყოვნებლივ აისახება ყველა დანარჩენებში.

მასშტაბის პრობლემა უკვე დიდი ხანია დგას სოციალური ინსტიტუტების წინაშე, იქნება ეს ეკლესია, არმია სამრეწველო დაწესებულება თუ პოლიტიკური რეჟიმი. საზოგადოება გონივრულად ფუნქციონირებს მაშინ, როდესაც არსებობს ეკონომიკური საქმიანობისა და სოციალური ელემენტების, პოლიტიკური და ადმინისტრაციული მმართველობის მასშტაბთა – შესაბამისობა. მაგრამ სინამდვილეში სულ უფრო შეიმჩნევა მათი შეუსაბამობა – დაუმთხვევლობა. როგორც უკვე ავღნიშნე ჩემს შრომაში ["Предстоящие беспорядки в мире" ნახე Bell D. The Future World Disorders // Bell. D. The Winding Passge Cambrige (Ma. 1980).

დიდი ხნის წინ ეროვნული სახელმწიფო იქცა ძალიან მცირედ მსხვილი პრობლემების გადაწყვეტისათვის და ძალიან დიდად წვრილამანი პრობლემების გადასაწყვეტად. მას თავისი პოლიტიკური მეთოდებით უკვე არ შეუძლია გაუსწორდეს – თავი გაართვას საერთაშორისო ეკონომიკის პრობლემათა მზარდ მოზღვავებას (ეკონომიკურ საკითხებზე უმაღლესი დონის შეხვედრებისას ზომების მიღება ცარიელ ფორმალობად იქცევა), მაგრამ ამავე დროს პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა კონცენტრაცია ბიუროკრატიულ ცენტრში ხელს უშლის მის კონტროლქვეშ მყოფი ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების ინიციატივებს. ამ აზრით, თუ პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში არსებობს კიდევ ერთი მთავარი სოციოლოგიური პრობლემა – უწინარეს ყოვლისა გადასვლის პროცესის მართვის სფეროში – მაშინ ესაა მასშტაბის მართვა.

#### დასკვნა

ამ ბოლო წლებში ფ. ფუკუიამას წიგნის წყალობით გავრცელდა "ისტორიის დასასრულის" შესაძლებლობის რწმენა. მე ვფიქრობ, რომ ფ. ფუკუიამას თეზისი, მცდარია. სიტყვათ შერწყმაში "ისტორიის დასასრული" უწესრიგოდაა აღრეული განსვავებული ცნებები, მას აკლია სიცხადე, სინათლე. თუმცა აქ ჰეგელთან მიმართებაში გაკეთებულია რევერანსი, იგი მაინც არ შეესატყვისება სპეციფიკური ფორმულირების სიზუსტეს, რომლის შესაბამისადაც "ისტორიის დასასრული" პოლიტიკურ დონეზე ნიშნავდა სახელმწიფოსა და საზოგადოების შერწყმას და

ცხოვრების ბურჟუაზიული წესის შედეგად მოტანილი გაყოფის გადალახვას. სოციალურ-პოლიტიკურ დონეზე "აუცილებლობის დასასრული" ნიშნავდა დეფიციტის გადალახვას და მსოფლიოს, სადაც სიუხვე ადამიანს "თავისუფალ არსებად" აქცევს. გნოსეოლოგიურ დონეზე ბოლოს უღებს განსხვავებას "სუბიექტსა" და "ობიექტს" შორის და "მეს" გათქვეფის დროს მოასწავლებდა მარადიული ფილოსოფიის მეფობის დადგომას. "ისტორიის დასასრული" გვაუწყებდა უნივერსალიზმის სამეფოს დადგომას. გ. ჰეგელი ფიქრობდა, რომ ნაპოლეონი რომელიც ავრცელებდა ფრანგული რევოლუციის უნივერსალიზმს, წარმოადგენდა ასეთი "დასასრულის" მაუწყებელს. რუსული წარმოშობის ფრანგი მოაზროვნე ა. კოჟევი ვარაუდობდა, რომ ეს როლი შეუძლია ითამაშოს ი. სტალინმა როგორც რუსული რევოლუციის გამგრძელებელმა. ვინ ჰყავდა ამ როლში წარმოდგენილი ფ. ფუკუიამას \_ რ. რეიგანი?

ფ. ფუკუიამას მიხედვით "ისტორიის დასასრული", უფრო ვიწრო ზარით ნიშნავს, რომ დემოკრატიის იდეის გარდა არ არსებობს სხვა "უნივერსალისტური" იდეები, რომელთაც ძალუძთ ხალხების გაერთიანება. მაგრამ იმის შესაბამისად, როგორადაც აზიელი ლიდერები ისწრაფვიან დაიკავონ ადგილები ისტორიის სცენაზე, გვეუბნებიან, რომ "აზიური ღირებულებები" განსხვავდებიან "დასავლური ღირებულებებისაგან" \_ ზუსტად ისევე, როგორც მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს (შესამდლებელია დღესაც) გავრცელებული იყო აზრი სლავური და დასავლური სამყაროთა ღირებულებების განსხვავების შესახებ. (მე ვფიქრობ, რომ ეს ორივე რწმენა მცდარია, რამდენადაც ადამიანის უფლების დაცვა, რომლებიც გამომდინარეობენ ბუნებრივი უფლებებისაგან, წარმოადგენს ცივილიზებული საზოგადოების არსებობის მთავარ პირობას.)

დ. ბელს მოყავს კიდევ ერთი არგუმენტი ფ. ფუკუიამას თეზისის წინააღმდეგ, სახელდობრ კი იმის წინააღმდეგ, რომ "ისტორიის დასასრული" ნიშნავს ერთიანი მსოფლიო გონების გაერთიანებული სოციალური ფორმის ტელოსის მიმართულებით სწორხაზობრივი განვითარების შესახებ ჰეგელიანურ-მარქსისტული წამოდგენების დასასრულს. დ. ბელი ფიქრობს, რომ ესაა საზოგადოებისა და ისტორიის ბუნების არასწორი განმარტება;

როგორც ადრეც აღნიშნა, დ. ბელი მიიჩნევს, რომ საზოგადოებაში არსებობს სამი განსხვავებული სფერო, რომლებიც ერთმანეთთან შეხებაში მოდიან განსხვავებული წესით და ვითარდებიან, ემორჩილებიან რა განსხვავებულ ისტორიულ რიტმებს. ესენია: ტექნიკურ-ეკონომიკური სისტემა, პოლიტიკური წყობა და კულტურის სფერო.

ტექნიკურ-ეკონომიკური სფერო წარმოადგენს სისტემას, რამეთუ ყველა მისი ელემენტი ურთიერთდაკავშირებულია და ერთმანეთზე დამოკიდებული და ერთის ხასიათსა და სიდიდეში ცვლილება გავლენას ახდენს სხვების მდგომარეობაზე. ამ სფეროში ცვლილებების საფუძველში დევს შენაცვლება \_ ჩანაცვლების პრინციპი. თუ წარმოების, რომელიმე წესი უფრო იაფია, საუკეთესოა, უფრო ეფექტურია, ვიდრე სხვები, იგი ცვლის მათ \_ აქ საკვანძო მნიშვნელობის ტერმინებია მაქსიმიზაცია და ოპტიმიზაცია დიდი მწარმოებლობის ნაყოფიერების მიღწევის მიზნით.

პოლიტიკური წყობა არ არის სისტემა. ესაა წესთა და კანონთა კრებული, რომელიც ჩვეულებრივ ფორმალიზებულია კონსტიტუციებში, ან თეოკრატიულ სახელმწიფოებში \_ წმინდა წერილებში ან ტრადიციებში და რიტუალებში, რომლებიც არეგულირებენ ხელისუფლებაში მოსვლას და რომელთა შესაბამისადაც ხდება სამართლის აღსრულება და უშიშროების უზრუნველყოფა; ესაა წესრიგი, დაცული იძულების ძალით ან თანხმობით, და როგორც წესი \_ ორივეს შერწყმით. აქ ცვლილება არ ექვემდებარება



ერთიან პრინციპს, არამედ ხორციელდება ხელისუფლებაში მყოფი ჯგუფებისა და კლასების მონაცვლეობის შესაბამისად, ინტერესთა კოალიციების ჩამოყალიბების შესაბამისად.

კულტურული სფერო – ესაა მნიშვნელობათა სფერო: ლიტერატურაში და ხელოვნებაში განხორციელებული წარმოსახვები, რელიგიურ და ფილოსოფიურ მოძღვრებებში კოდიფიცირებული ზნეობრივი და სულიერ-გონით ცნებები. მასში ცვლილებები ხდება სამი ფაქტორის ზემოქმედების შედეგად:

1. ტრადიციების, რომლებიც დგას არსებული წესრიგის დაცვის სადარაჯოზე და განსაზღვრავს, თუ რა უნდა მივიღოთ სიახლეებისაგან და რა არა, განსაკუთრებით იქ, სადაც ის აღჭურვილია ძალაუფლებით;

2. იმანენტურობის, რომელიც გამოიხატება ფორმის შინაგანი განვითარებით, როგორც მაგალითად სონატური ფორმით მუსიკაში ან პერსპექტივიზმისა და ილუზიონიზმით სახვით ხელოვნებაში; და

3. სინკრეტიზმის, რომელიც წარმოადგენს სტილთა და არტეფაქტთა ფართოდ სესხებას, გადმოღებას და შერევას, როგორც მაგალითად, სპორტში და მასობრივ კულტურებში;

მაგრამ რამდენადაც კულტურა – უწინარეს ყოვლისა არის მნიშვნელობების სფერო, საჭიროა ყურადღება მივაქციოთ ერთ გასაოცარ ფაქტს: დიდი ისტორიული რელიგიების – ბუდიზმის, ინდუიზმის, კონფუციანელობის, იუდაიზმის, ქრისტიანობის, ისლამის ურყეობას დროში. დაინგრა იმპერიები, შეიცვალა ეკონომიკური სისტემები, ისტორიული რელიგიების პოსტულიტები კი დღესაც ისევე გასაგებია თავისი არსის მიხედვით. (ე.ი. მათი არსი არ შეცვლილა ა. ბ): ინდუიზმისა და ბუდიზმის კარმა, იუდეიზმის მონოთეიზმი, ქრისტიანობის ჯვარზე გაკვრა და ევქარისტია, ყურანი და მუჰამედის ფიგურის ცენტრალური როლი ისლამში. არსებობს ამ ცნებებში რაღაც ტრანსცენდენტალური ძალა.

თუ ყველაფერი ეს სამართლიანია – ჩემი თვალსაზრისით კი ეს ფაქტი ცხადია, – შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისტორია იყოფა ნათლად განსაზღვრულ და შეზღუდულ პერიოდებად, რომელთაგან თითოეული თვისებრივად განსხვავდება სხვებისაგან, გ. ჰეგელის innerzusammenhang-ის ან კ. მარქსის წარმოებისა და სოციალური ფორმაციების წესის საფუძველზე. ერთხელ კ. მარქს კითხეს აეხსნა ძვ. ბერძნული ლიტერატურის მიმზიდველობა, მან უპასუხა Nachlase, რომ ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ საბერძნეთი წარმოადგენს "კაცობრიობის ბავშვობას" და ამიტომ ინარჩუნებს ამ პერიოდის ყველა მიმზიდველობას. მაგრამ ეს თავის მოტყუებაა – თვითმოტყუებაა ანტიგონე, რომელსაც სურდა ღირსეულად დაესაფლავებინა თვისი ძმები და ამიტომ გამოწვევა ესროლა კრეონტს, სრულებითაც არაა ბავშვი. იგივე სურვილი ამოდრავებდა ნ. მანდელშტამს, რომელიც ასევე ეძებდა თავისი ქმრის ო. მანდელშტამის გვამს – სხეულს, – რათა ადამიანურად დაესაფლავებინა მისი ნაშთები. ასევე მცდარი აღმოჩნდა კ. მარქსის შეხედულება რელიგიის "ფეტიშისტური" ბუნების და იმის შესახებ, რომ იგი უნდა გაქრეს 20-ე საუკუნეში. ადამიანებს სჭირდებათ რაღაც ტრანსცენდენტური განწყობები, რომლებიც გაასაზრისიანებენ მათ ცხოვრებას, რაღაც წმინდას ძიება, როგორც მე ვამბობდი ლონდონის უნივერსიტეტში წაკითხულ ლექციებში 1997წ.

თუ "ისტორიის დასასრული" არ იწინასწარმეტყველება, მაშინ მე მაინც ვფიქრობ, რომ შეიძლება ვილაპარაკოთ ისტორიის იდეოლოგიური ფაზის დასრულების შესახებ,

რაც მე დავასაბუთებ შრომაში "იდეოლოგიის დასასრული" (1960წ.). ამ შრომას სამწუხაროდ არ ხვდა კარგი ბედი და ხშირად არასწორად იქნა გაგებული და განმარტებული. მასში, სრულებითაც არ ვიუწყებოდი უველა იდეოლოგიის დასასრულს, თუ იდეოლოგიის ქვეშ გავიგებთ შეხედულებათა და რწმენათა სისტემას, რომელსაც მხურვალედ უჭერენ მხარს ცალკეული ინდივიდები და რომელიც აერთიანებს მათ საერთო საქმის გამო. სინამდვილეში მე ვსაუბრობდი იმის შესახებ, რომ აფრიკის და აზიის ახალგაზრდა სახელმწიფოებში შეიქმნა ახალი იდეოლოგიები, ისეთები როგორებიცაა: პანარაბიზმი, "შავი" და "ყვითელი" რასიზმი და ნაციონალიზმი.

მე განვიხილე დასავლური საზოგადოების განვითარებაში განსაკუთრებული ისტორიული მოვლენა – დიდი "ისტორიული გადასვლის" დასრულება, რომლის კალაპოტშიც მიმდინარეობდა სოციალური მოძრაობები და დულდა ვნებები. მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეთა მანძილზე არ შეწყვეტილა რელიგიური ომები პროტესტანტებს და კათოლიკეებს შორის, ან როგორც ეს იყო ინგლისში, ომი პურიტანებსა და მემარცხენე ფრთის, ისეთის, როგორიცაა "მეხუთე მონარქია", – მომხრეებს შორის, "დედამიწაზე ღვთის სამეფოს" დასამკვიდრებლად კამათს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ ეპოქაში, მის ენასა და რიტორიკას რელიგიური შეფერილობა ჰქონდა, მაგრამ ნიღბავდა პოლიტიკურ ინტერესებს. დიდმა ფრანგულმა რევოლუციამ სათვე დაუდო "იდეოლოგიების ომს", თანაც განსახილველი თემები და დისკუსიის ენა იყო ღიად პოლიტიკური, თუმცა რელიგიის სარჩულით. სწორედ ამიტომ ვუწოდებ მე მარქსიზმსა და მის სახესხვაობას – ლენინიზმს – "სამოქალაქო რელიგიები", რევოლუციამდელი ეპოქის ფილოსოფოსი "ვეხელეების" (ნ. ბერდიაევის, ს. ფრანკის) კვალად.

მე ვლაპარაკობდი, რომ ეს "ისტორიული გადასვლა" დამთავრდა, რამდენადაც იდეოლოგიებმა კრაზი განიცადეს. ამის ყველაზე კარგი დადასტურებაა საბჭოთა კავშირის კრაზი და ჩინეთში მაოიზმით იმედგაცრუება.

დღეს კვლავ შეგვიძლია დავაკვირდეთ რელიგიურ კონფლიქტთა მნიშვნელოვან გამწვავებას, რომლებსაც მიღებული აქვთ პოლიტიკური ფორმა – ირანში თუ ალჟირში (რომლებმაც, რადიკალების აზრით, უნდა გააგრძელონ "პროგრესული რევოლუციების" გზა.) სადაც პოლიტიკას აყალიბებენ ისლამური ფუნდამენტალისტები და ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკებში, სადაც სერბები, ხორვატები და ბოსნიელი მუსულმანები იხსენებენ უძველეს დროში ფესვგადგმულ წინააღმდეგობებს, ერთმანეთთან ახალი შეჯახებების საბაზის სახით.

ძველი სოციალური სტრუქტურები იზარებთან, იმიტომ, რომ პოლიტიკური მასშტაბები არ შეესატყვისებთან სამეურნეო საქმიანობის მასშტაბებს. ეკონომიკის სფეროში ძლიერდება ინტეგრაციისადმი ტენდენცია, ხოლო პოლიტიკის სფეროში მიმდინარეობს უკუპროცესი. ახალი პოლიტიკური წარმონაქმნების ჩამოყალიბება, როგორიცაა ევროკავშირი რომელსაც ძალუმს შეესატყვისებოდეს ეკონომიკურ ამოცანებს, ძალიან ნელა მიმდინარეობს.

იდეალებისა და რწმენების სფეროში ჩვენ ვაკვირდებით ბრძოლას ერთის მხრივ მეცნიერებასა და თავისუფალ აზრს და მეორეს მხრივ პოლიტიკურ და რელიგიურ ავტორიტარიზმს შორის. მომავლის "საომარ ქმედებათა ერთ-ერთი ძირითადი თეატრი" ჩინეთი გახდება, მილიარდზე მეტი მოსახლეობით რომელიც შეძლებს მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა შორის ან სრულიად დამარცხდება იმ შემთხვევაში თუ ვერ

შემღებებს შექმნას სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურები, რომლებიც შესაბამისი იქნებოდა – გეოგრაფიულად და დემოგრაფიულად – ქვეყნის მასშტაბებისა.

ღირებულების ინფორმაციული თეორიის "ძირგამომთხრელი" გავლენის მაგალითს ჩინელი ასტროფიზიკოსის ფან ლიჩუსი შეხედულებები წარმოადგენს, წარსულში სრულიად ჩინეთის სამეცნიერო-ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტისა, რომელიც გახდა ჩინური ინტელექტუალური ელიტის შეხედულებათა გამომხატველი. სახაროვის მსგავსად, იგი ხაზს უსვამდა მეცნიერების როგორც თავისუფალი კვლევების საფუძვლის როლს და ჭეშმარიტების ძიების თავისუფლებას. იყო რა ჩემი შრომების გავლენის ქვეშ, იგი ასაბუთებდა (როგორც რ. რიხტა ჩეხოსლოვაკიაში), რომ მოწინავე საზოგადოების ფუნდამენტს, თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით, წარმოადგენს ცოდნა და არა შრომა ან წარმოების სხვა მეცნიერული საშუალებები, რომ შესაბამისად "საწარმოო ძალების ყველაზე დინამიურ შემადგენელ ნაწილს ინტელექტუალები წარმოადგენენ, რომლებიც ფლობენ და ქმნიან ინფორმაციას და ცოდნას). მაგრამ 1989 წლის ტიანანმენის მოვლენების შედეგად ფან ლიჩუი ჩინეთიდან გააძევეს.

მე უკვე ვთქვი, რომ პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში ძირითადი ცვლილებები პირველ რიგში ტექნიკურ-ეკონომიკურ სფეროში ხდება. მაგრამ ის ფაქტი, რომ პოსტინდუსტრიული ცვლილებები, განსხვავებით ყველა წინამორბედ ტექნოლოგიურ ცვლილებებისაგან, დაკავშირებულია თეორიული ცდონის კოდიფიკაციასთან, მეცნიერებას აქცევს ამ საზოგადოების განმასხვავებელ ნიშნად. ისტორიულად მეცნიერება წარმოადგენს თავისუფლებისაკენ მსწრაფ ძალას. მაგრამ მეცნიერებას, როგორც სხვა მრავალ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ემუქრება ბიუროკრატიზაცია და პოლიტიკური ან კორპორაციული კონტროლი.